

ეპროპრიუმი საქართველო

New
ახალი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№4 (36) აპრილი 2014

კონკერი

მოკმედი ნივთიერება:
კლოდინაფოპ-პ-პროპარგილი+
ანტიდოტი 80-20 გ/ლიტ.

მოკმედების სპექტრი:

შვრიუკა, ძურნა
ღვარძლა, ბურჩხა,
ყვითელი ძურნა,
მწყერფხა



ტელ/ფაქსი: +995 32 2 922 472
მობ: +995 599 550 497
+995 599 141 777



ვმა წარმოგეზისავენ!

ორგანიკა

ნიანაზის
ალბანური



უნივერსალური თხევადი
ორგანულ-ბექტერიული სასუქი
რომელსაც მოჰოვებელი ექვს
ორგანული სერტიფიკატი,
მინიჭებული ექვს
საერთაშორისო ხარისხის
ოქროს გვირგვინი QC100,
დაუშვებელია ეკოლოგიურად სუფთა
პროდუქტების მოსაყვანად



www.organica.ge

ბიოაგრო **BioAGRO**

მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის საშუალებები
CENTER of BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის საშუალებები,
ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად

- კონსულტაცია ბიომეურნეობის მოწყობაზე;
- ნიადაგის ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლა;
- მცენარეთა დაავადების დიაგნოსტიკა;
- მოყვანილი, სერტიფიცირებული პროდუქტის
რეალიზაციაში ხელშეწყობა.

www.bioagro.ge

სასუქი და მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები უვნებელია ადამიანისათვის, ეკოსისტემისათვის, ცხოველებისათვის, ფრინველებისათვის, თევზებისათვის, ფუტკრებისათვის, სასარგებლო მწერებისათვის

DeLaval Bosio



**დელავალის მობილური
საწველი დანადგარები
მსხვილფეხსა და წვრილფეხსა
მერძეული
მეცხოველეობისათვის**



WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ჯერ კიდევ ხელით წველით?

დელავალის (DeLaval) მოგილური
გადასატანი ძროხების სანველი
დანადგარი



დაგვიკავშირდით



მოდელი MMU11



მოდელი MMU12



მოდელი MMU22

დელავალის (DeLaval) გადასატანი სანველი დანადგარი

რაც თქვენ გჭირდებათ:

- შეგიძლიათ მონველოთ 1-დან 16 ძროხამდე
- გაგიიოლებთ შრომას
- იცავს ცურის ჯანმრთელობას
- ზრდის მონანველი რძის რაოდენობას და ხარისხს
- იოლი მოსახმარია

კომპანია დელავალის
ოფისიალური დილერი

WORLD TECHNIC
სოფლიო გეოგრაფიკული
გაყიდვების

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ტექნიკური დანახარები

პროდუქტის აღწერა	MMU11	MMU12	MMU22
სანველი ნაწილების რაოდენობა	1	2	2
ბიდონების რაოდენობა (უფანგავი ფოლადი, ტევადობა 25ლ.)	1	1	2
ბიდონების საერთო ტევადობა	25	25	50
რამდენი ძროხის მონველა შეუძლია ერთ საათში	8	16	16
ცარიელი დანადგარის წონა (კგ.)	67	73	82
სიგრძე/სიგანე/სიმაღლე (მმ.)	1200/520/930	1200/520/930	1200/695/930
ვაკუუმის ტუმბოს წარმადობა (ლ./წთ.)	170	170	170
ელექტროძრავის სიმძლავრე (კვტ.)	0.75	0.75	0.75


თქვენი ყოველდღიური საიგილო დამხმარე

Bosio MMU კომპანია დელავალის მობილური სანველი დანადგარი

უფრო ნაზი ვიდრე მწველავის ხელაზი!

Bosio MMU მოდერნიზაციის კომპლექტი

MMU-ს ერთბიდონიანი დანადგარი იოლად მოდერნიზდება, ჩარჩოს ნაწილები ადვილად იცვლება.



1. ბიდონი
2. სანველი ნაწილი
3. სახურავი
4. სანველი ნაწილის მიმართველი მილები
5. ჩარჩო
6. მისაერთებელი კომპლექტი


Bosio MMU 22

ორბიდონიანი მობილური სანველი დანადგარი

12 ოძროს წასი უზაქტიანად წველისთვის!




რეგულარულად შეამოწმეთ ცურის მდგომარეობა




შეადგინეთ და დაიცავით წველის რიგითობა




მონველეთ და შეამოწმეთ პირველი მონაწველი



საგულდაგულოდ გაუსუფთავეთ ცური




გააკონტროლეთ ვაკუუმის დონე



მიერთეთ სანველი ნაწილი ცურს გასუფთავების შემდეგ




არ გადწველოთ ძროხები




სწორად მოხსენით სანველი ნაწილი



დაუყოვნებლივ მოახდინეთ ძუძუს დეზინფიცირება



მონველის დასრულების თანავე საგულდაგულოდ გარეცხეთ სანველი დანადგარი



რძის გაცივება ხელს უშლის ბაქტერიების გავრცელებას



გაუფრთხილდით, მოუარეთ სანველ დანადგარს და ის ხანგრძლივად მოგემსახურებათ

იოლი და უკეთესი!

კომპანია დელავალის მობილური სანველი დანადგარით Bosio MMU-ით წველა ხორციელდება უფრო სწრაფად, ვიდრე ხელით. ერთბიდონიანი (25 ლ. ტევადობა) სანველი Bosio MMU-ი საშუალებას გვაძლევს ერთ საათში 6-8 სული ძროხა მოწველოთ. ნაკლები ფიზიკური დატვირთვა, სწრაფი და უდანაკარგოდ წველა, დაზოგილი დროის უპირატესობებია, რაც დელავალის მობილურ სანველ აპარატს გააჩნია და თქვენ აუცილებლად გჭირდებათ!

ყოველი სული ძროხის სიჯანსაღის გარანტი!

Bosio MMU-თი მობილური სანველი აპარატის ყოველდღიური გეგმაზომიერი გამოყენება ძროხებში მნიშვნელოვნად ამცირებს სტრესს, იცავს ცურს სხვადასხვა დაავადების წარმოქმნისა და განვითარებისგან, ეხმარება ძროხას საერთო სიჯანსაღის შენარჩუნებაში, ზრდის ნაწველის მოცულობას და რძის ხარისხს.

საიგიღო და ხარისხიანი!

უცვეთელი მილები, მაღალი კლასის რეზინის სანოვარები, დაგეხმარებათ მიიღოთ ხელით წველასთან შედარებით უფრო მეტი და ხარისხიანი რძე.

დიდი ზომის ბორბლების წყალობით მობილური სანველი აპარატი მოსახერხებელი და იოლად გადასადგილებელია. უბრალოდ მოჰკიდეთ ხელი და გადააგორეთ იქ, სადაც გასურთ მოწველოთ.

უფრო მოსახერხებელი ვიდრე ხელით წველა!

იმისათვის, რომ შეძლოთ უფრო კომფორტულად მუშაობა, მობილური სანველი აპარატის Bosio MMU-ს სანველის ბიდონის მოცულობა შეიძლება 50 ლიტრამდეც გაზარდოთ. ასეთი მოდერნიზებული ბიდონების Bosio კომპლექტი შეგიძლიათ შეუკეთოთ კომპანია „დელავალის“ ოფიციალურ დილერს საქართველოში – „მსოფლიო ტექნიკას“!



ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

აპრილი, 2014 წელი.

№4 (36)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანიძე, რეზო ჯაბნიაძე, მიხეილ სოსხაძე, თამარ სანიაციძე, ნოდარ ბრეგვაძე, გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-მედიცინის რედაქციის რედაქტორი), თამთა გუგუშვილი (ინგლ. კერს. რედაქტორი).

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რეკვან მახარობლიძე (თავმჯდომარე), ნოდარ ჩხარტიშვილი, გურამ ალექსიძე, ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ ფულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახნიაშვილი, ადოლ ტყემელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, დავით ბეღია, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Agraruli Sectoris Companiebis asociacia (ASCA); (Association of Agrarian Sector Companies). საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“; Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities. რედაქციის მისამართი: თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/თელ: +995 (032) 2 90-50-00 599 16-18-31 Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53 agroasca@gmail.com

„ივერიელი“ ციფრული ბიბლიოთეკა

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

www.regionica.org/journal

editor of English version Tamta Gugushvili

დააკაბადონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.

All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge

E-mail: info@worldtechnic.ge

ნოვარეზი წაიკითხათ:



11

თუნი მესხვარაძის მიმართვა საქართველოს მთავრობას

1950-იანი წლებიდან კიდევ ერთი სამთავრობო ექსპერიმენტი დაიწყო – თუშებისა და სხვა მთიელების იძულებით ჩამოსახლება ბარში.



17

უკუღმა დაწყებული კოოპერასია

ფერმერები მიწის დამუშავებისას ერთმანეთს იმიტომ ეხმარებიან, რომ ერთობლივი მუშაობის შემთხვევაში გასაკეთებელი საქმე უფრო სწრაფად, ხარისხიანად და ნაკლები ენერჯის დახარჯვით კეთდება.



23

ქართული მეღვინეობის განვითარების პერსპექტივა ტრადიციული მარნების აღორძინებაში

ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის კულტურას მსოფლიოში ქვეყნის ტრადიციულმა ღვინომ და ამ ღვინის დაყენების მეთოდმა გაუთქვა სახელი.

7

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ზოგირით ასაქვმი

10

ალიანს ჯგუფი „ლინიგნი“ ფარმაცეპსა და აპრობიონსში ჩართულ პირებს სთავაზობს ლინიგნის გამარტივებულ და ხელმისაწვდომ პირობებს

13

საქართველოს სიძლიერე მიწათნაგარადაცემი კავშირის ტრადიციისთვის

18

რა დააშავა დანარჩენმა კულტურებმა?

19

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დარეგულირება

19

კვირსის ქართული მწარმოებელი იმპორტიორებს საქველმოქმედო აქციაში „დაუპირისპირდებიან“

20

საქართველო თხილის უმსხვილეს მსოფლიო ექსპორტიორთან ერთად შიდა, თუშა თხილის გადამამუშავებელ კომპანიებს შეეყვანა პარტნიორობის ექსპერტიზა

22

ხენილის დასვა აგვანებელ-დაავადებებისგან Syngenta-ს მიხედვით

25

კახეთში საგაზაფხულო საშუალება მიმდინარეობს

27

მავალის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

29

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ტექნიკის რასიონალური რაოდენობისა და მომხმარებლის განსაზღვრა

32

ნაწარმის რაოდენობის სოფლის მეურნეობაში ექსპორტის ანალიზის უსიყვარული პირობა

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობთ!

შურნალში ერთი კვადრატული სანტიმეტრი სარეკლამო ფართის ღირებულება შეადგენს: მდინ. მდინე გვირგვინი – 60 თეთრს (მთლიანი გვირგვინი – 350 ლარი), ზოლოსინა გვირგვინი – 50 თეთრს (მთლიანი გვირგვინი – 300 ლარი), ზოლო გვირგვინი – უკანა მდინე – 60 თეთრს (მთლიანი გვირგვინი – 350 ლარი). შიდა გვირგვინი – 35 თეთრს (მთლიანი გვირგვინი – 200 ლარი).

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან. სამეცნიერო სტატიის მოცულობა რეზიუმეს თანხლებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ინტერვალით, 12-იანი შრიფტით ნაბეჭდ 5 თაბახის გვირგვინს.

შურნალის გამომცემი შიდა მართვის პრესის განყოფილების საგანგებო განყოფილება: „მსოფლიო“ (ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საქართველო“ (0 (32) 2518518).

1 წლით შურნალის გამომცემი დაგვიწვდებთ 24 ლარი, 6 თვით – 12 ლარი.

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ზოგირითი ასპექტი

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაგეგმილი ყველა პროგრამა წარმატებით განხორციელდა. პროგრამების ფარგლებში შესყიდული იქნა 506 ერთეული მრავალფუნქციური მოტოვლოკი, რომელიც თანადაფინანსების პრინციპით რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებს დაურიგდა. რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებზე განაწილდა 3 მილიონზე მეტი კიტრის, პომიდვრის, ზუღარული წიწაკის და პადრიჯნის ელიტური, უპირუსო ჩითილავი. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამის „მრავალფუნქციანი ხეივანი კულტურების ნარგავით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ფარგლებში ხუთივე რეგიონის ფერმერებს გადასცა ხეივლის (თხილის 20 000, მანდარინის 4000, ხურმის 7500, მოცვის 15750 და კივის 5000) ნარგავი. ადგილობრივი საადრეო პოსტნული კულტურების წარმოებისა და ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებს დაურიგდათ 350 ერთეული მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქციები. მეფუტკრეობის დარგის განვითარების მიზნით ფერმერებს გადაეცათ თანამედროვე ტიპის პოლისტიროლის მასალისაგან დამზადებული ორსართულიანი დადანიანების 2000 ცალი სკა და 30 ცალი თაფლის საწური მოწყობილობა (ცივრუტი).

ციტრუსეობაც. ფერმერები უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მანებელ-დაავადებების წინააღმდეგ ნამლობის ღონისძიებებისა და სხვა აგროტექნოლოგიების ჩატარებას. ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი ჯიშების დანერგვა. რეგიონში არსებული ციტრუსის ხეების 30-40 % მოუვლელია, რაც ნაყოფის ხარისხზე აისახება და შესაბამისად სამომხმარებლო ბაზარზე ნაკლებკონკურენტუნარიანია.

ციტრუსოვანი კულტურების როლი რეგიონისთვის

მეციტრუსეობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. ციტრუსები სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივ გამოიყენება. ნაყოფი გამოირჩევა დანარჩენი ხილისაგან იმით, რომ მსოფლიო ხილის მოხმარების პალანის დაახლოებით 30 %-ს იკავებს. ციტრუსოვან ნაყოფებზე მსოფლიო ბაზარზე ფასების სისტემატურმა ზრდამ მეციტრუსეობა მაღალშემოსავლიან დარგად აქცია. ციტრუსს აჭარაში ამჟამად დაახლოებით 8500 ჰა ფართობი უკავია და ყოველწლიურად მოსავალი 44-დან 110 ათას ტონამდე მერყეობს. ციტრუსი სოფლის მე-

სამინისტროს პროგრამის ფარგლებში რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. მიმდინარე წელს იგეგმება არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შემდგომი განვითარებისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარება გაეწიოს.

ღონისძიების განსახორციელებლად დაგეგმა რეგიონში 8000 ტონა დეფექციური ტალახის შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და აამაღლებს შეტანილი მინერალური სასუქების ეფექტს.

მეციტრუსეობის დარგის ზოგადი ანალიზი


გასაღების ბაზრებისა და ეკონომიკური სისტემის რღვევის გამო მეტად დაზარადა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, მათ შორის მე-

სამინისტრომ განახორციელა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კვლევა, რომლის ფარგლებშიც რეგიონის პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტებიდან აიღო და გამოიკვლია 100 ნიმუში. რეგიონის მასშტაბით 40 ფერმერის საკარმიდამო ნაკვეთზე მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა მანებელ-დაავადებების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების განწვევა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფერმერებს საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდათ.


ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტების მიხედვით რელიეფურ-ექსპოზიციური პირობების გათვალისწინებით აღებული და გამოკვლეულია ნიადაგის 5500 ნიმუში.

ნიადაგის კვლევების შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე საჭირო გახდა ნიადაგების ქიმიური მელიორაციის ღონისძიების ჩატარება. სამინისტრომ ამ

ციტრუსის მოსავალი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ტონა)



რეალიზებული პროდუქციის მოცულობა (ტონა)



რეალიზაციის მოცულობა სახეების მიხედვით (ტონა)

რეალიზაციის სახეები:	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014
ექსპორტი:	33 168	38 107	23 723	65 137
საკონსერვო გადამამუშავება:	0	2 394	8 383	12 327
ადგილობრივი ბაზარი:	6 720	14 404	4 173	3 853
სულ ჯამი:	39 888	54 905	36 279	81 317

ურნეობის სფეროში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა. იგი აჭარის ძირითად სასოფლო-სამეურნეო საქეპორტო პროდუქტად რჩება.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები

● 2013-2014 წლებში აჭარაში ციტრუსის უპრეცედენტოდ უხვი მოსავალი მოვიდა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, ქარბი


პროდუქციის მიწოდება ფასის კლებას იწვევს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ციტრუსის ფასი 35-70 თეთრზე შენარჩუნდა და რეალიზებულია 81 317 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფები.

● შეიქმნა 33 მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო. გამოცხადდა კონკურსი და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ბიზნესმენებს ვალდებულებებით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად ყოფილი ციტრუსის მიმღები პუნქტები ე.წ. „პავილიონები“ და მიწის ნაკვეთები გადასცა. წლეულს პირველად შეიქმნა ტარის დამამზადებელი 5 საწარმო და აქცენტი ციტრუსის ევროსტანდარტების შესაბამის შეფუთვაზე გაკეთდა;

● წლეულს 9 ქვეყანაში განხორციელდა ციტრუსის ექსპორტი. ექსპორტირებულია 65 137 ტონაზე მეტი ციტრუსი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში პირველად მოხდა ექსპორტი რუსეთის მიმართულებით;

● ციტრუსის სუბსიდირებაზე 13 მილიონ 800 ათასი ლარი გამოიყო. აქედან 12 მილიონი ლარი სტანდარტული მანდარინის სუბსიდირებისათვის (ყოველ კგ-ზე 0.15 ლარი) გამოიყო, ხოლო არასტანდარტულზე – 0.10 ლარი. ქართულმა ინდუსტრიულმა ჯგუფმა – ქობულეთის საკონსერვო ქარხანამ 12 327 ათასი ტონა არასტანდარტული მანდარინი მიიღო და გადაამუშავა.

რეალიზაციის სახეების %-ული წილის მიხედვით




სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები

● აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთვანახლებისა და პერსპექტიული ალტერნატიული კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის ჩაქვის ციტრუსის საკოლექციო-სადემონსტრაციო საწარმე შექმნა. საწარმე მეურნეობა 11 ჰა მიწის ფართობზეა გაშენებული. საწარმეებში განთავსებულია უცხოეთიდან: ჩინეთიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან შემოტანილი ათეულობით ახალი ჯიშის ნერგები. საწარმეში ამჟამად აკლიმატიზაციას გადის ციტრუსოვანთა რვა სახეობა: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპრუტი, პომელო, კინკანი და ნარინჯი, სულ 58 ჯიში, რომელთა შორის 26 მანდარინია. საერთოდ კი დარ-

ციტრუსის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი 2013-2014 წელი

საექსპორტო ქვეყნები	ტონა
უკრაინა	37 586
რუსეთი	15 231
აზერბაიჯანი	9 840
სომხეთი	
ბელარუსი	1 415
ყაზახეთი	505
სხვა	560
სულ:	65 137




გულია 3620 ძირი სხვადასხვა სახის ციტრუსი. მათზე მიმდინარეობს დაკვირვება, რის საფუძველზეც შეირჩევა აჭარისათვის ყველაზე მისაღები ჯიშები და დაიწყება მათი გამრავლება. ბაღის მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ მოხდება კალმების აღება და ნერგების წარმოება, რომელიც 2015 წელს თვითღირებულების ფასად გაიყიდება. 2013 წლის შემოდგომაზე 1000 ძირზე მეტი სუპერსაადრეო (ოკიცუ ვასე) მანდარინის ჯიში დაიმყნო, რომლის გაყიდვასაც აგროსერვისცენტრი 2014 წლისათვის გეგმავს.

● მსგავსი მასშტაბური განახლებითი ღონისძიება გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა. დღეისათვის რეგიონს სამრეწველო დანიშნულების ერთადერთი ჯიში ფართოფოთლოვანი უნშიუ შემორჩა. ციტრუსების საადრეო ჯიშები რეგიონის მეციტრუსეების მოსავალს ადრე მოსული თოვლისა და სიცივის შედეგად მიყენებული ზარალისგან დაცავს. ესაა სუპერსაადრეო (იავასე), საადრეო (ოკუცუ ვასე და ივასაკი), საშუალო საადრეო (ტაგუჩი, ოპოცუ და მიაგა ვასეები), საგვიანო (ნოვა, საცუმა და კლაუსი). ასევე ჩაქვის სანერგეში აკლიმატიზაციას გადის ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი ციტრუსოვანთა ჯიშები და ფორმები: ქართული საადრეო, მეგრელიშვილის საადრეო, ადრეულა, შავიშვილის სა-

ადრეო, ქართული უხვმსხმოიარე კლონი-მიჩურინცი. ფორთოხალი მიჩურინის დიდება, კოლექტიური, კარალიოკი №100, უთესლო ფორთოხალი, გლუვკანიანი ვაშინგტონ-ნაველი, ლიმონი-დიოსკურია, ქართული უთესლო-უეკლო ლიმონი და სხვა.

● აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარ-მონყობილობებით. გაზური და ქრომული დანადგარებით, თერმოსტატებით, ავტოკლავებით, მეტრებით, რომლებიც კვლევის მაღალ შედეგს განაპირობებს. ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს ISO 17 0 25 ხარისხი მიენიჭა. ქართული თაფლის საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტირება წლების განმავლო-

ციტრუსის ექსპორტის კონკურენტი ქვეყნები




ბაში ვერ ხერხდებოდა, რასაც განაპირობებდა ის, რომ ვერ ხერხდებოდა თაფლზე წარმოშობის სერთიფიკა-

აჭარაში მოქმედი ციტრუსის მიწაზე-გადაამუშავებადი სანარმოები სულ

სანარმოთა საერთო რაოდენობა	ინვესტიციების მოცულობა	რეალიზებული პროდუქცია (ტონა)	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივის შედეგი:			
15	5 032 919	10 748	753
კერძო ინიციატივა:			
18	617 000	7 730	410
სულ:			
33	5 649 919	18 478	1 163

ციტრუსის ნაყოფის დახარისხება-შეფუთვის ტექნოლოგიები

თვითმმართველ ქალაქ ბათუმში, ხელვაჩაურსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველად დამზადდა ოთხი სახის ყუთი და ციტრუსის გადასაზიდო ეუროსტანდარტის შესაბამისი პალეტი.



მუყაო
ხის ანათალა (ე.წ. შპონი)
პლასტმასი
პალეტი
კრეფისათვის გამოსაყენებელი პლასტმასის ყუთი



რეზიუმეში არსებული ციფრების ტარისა და ტარა მასალის მხარმოვლები სულ				
საწარმოთა საერთო რაოდენობა	ინვესტიციების საერთო მოცულობა	წარმოებული პროდუქცია (ცალი)	დასაქმებულთა რაოდენობა	
15	5 032 919	მუყაოს ყუთი	288 802	753
		ხის ანათალას (ე.წ შპონი) ყუთი	105 000	
		პლასტმასის ყუთი	832 000	
		საბრუნავი ტარა (პლასტმასის ყუთი)	6 000	
		პალეტი	1 680	
		სულ:	1 233 482	

ტის გაცემა, რომელსაც ესაჭიროება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა. უახლოეს პერიოდში ლაბორატორია აღიჭურვება თავლის თანამედროვე ევროპული სტანდარტის მქონე დანადგარ-მონყობილობებით, რომლის შემონმბეული თავლი საექსპორტო პოტენციალს დააკმაყოფილებს.

ზაურ ფუტხარძე,
აჭარის სოფლის მეურნეობის
მინისტრი, ასოცირებული
პროფესორი

აგროლიზინგი



ფარმაცეპსა და აგრობიზინგში ჩართულ პირებს ლიზინგის გაბარებისა და ხელშისაწვდომ პირობებს სთავაზობს!

1. ამსპარსაგროლიზინგი

აფინასებს ნებისმიერი აგრო ტექნიკის შეძენას შემდეგი პირობებით:

- კლიენტის თანამონაწილეობა – მთლიანი ღირებულების 30%
- სალიზინგო ინვესტიცია – 500-დან 10000 ლარამდე;
- ვადა – 1-დან 2 წლამდე;
- პროექტის სრულ ღირებულებაში შედის აგროტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი და სავალდებულო დაზღვევა;
- პროექტის წლიური გაძვირება – 9%-დან 15%-მდე;

პროექტი მტკიცდება ერთ დღეში. ფიზიკური პირის შემთხვევაში მოითხოვება მხოლოდ კლიენტისა და თავდები პირ(ებ) ის პირადობის მოწმობები; იურიდიული პირის შემთხვევაში – განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მაგალითი: თუ ტექნიკის სრული ღირებულება დაზღვევის ჩათვლით შეადგენს 10,000 ლარს, კლიენტის პირველადი შენატანი წარმოადგენს – 3,247 ლარს. 2 წლიანი ვადის შემთხვევაში ყოველთვიური სალიზინგო გადასახადი იქნება 413 ლარი.

*დღგ-ს გადამხდელ პირებს შეუძლიათ ჩაითვალონ დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), როგორც პირველადი ასევე ყოველთვიური შენატანებიდან.

2. აგროლიზინგი

აფინასებს ნებისმიერ 15,000 ლარზე მეტი ღირებულების აგროტექნიკას.

- კლიენტის თანამონაწილეობა – მთლიანი ღირებულების 20%-დან
- სალიზინგო ინვესტიცია – 10,000 ლარიდან;
- ვადა – 1 დან 5 წლამდე
- პროექტის სრულ ღირებულებაში შედის აგროტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი და სავალდებულო დაზღვევა;
- პროექტის წლიური გაძვირება – 7%-დან 12%-მდე;

პროექტი მტკიცდება კლიენტის საქმიანობისა და შემოსავლების შესწავლის შემდეგ (3-4 დღეში). საჭიროა ადგილ-

ზე ვიზიტი და აგრობიზინგის ანალიზი, ასევე, შემოსავლების, საკუთრებისა და ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მაგალითი: თუ ტექნიკის სრული ღირებულება დაზღვევის ჩათვლით შეადგენს 50000 ლარს, კლიენტის პირველადი შენატანი წარმოადგენს 10500 ლარს. 3-წლიანი ვადის შემთხვევაში ყოველთვიური სალიზინგო გადასახადი იქნება 1698 ლარი.

*დღგ-ს გადამხდელ პირებს შეუძლიათ ჩაითვალონ დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), როგორც პირველადი, ასევე ყოველთვიური შენატანებიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ სერვის-ცენტრებს მისამართებზე:

თბილისის სერვისცენტრი

მ.კოსტავას ქ.47/57
ტელეფონი: (+995 32) 2 197 777

რუსთავის სერვისცენტრი

რუსთავის ავტო-ბაზრობა, AUTOPAPA-ს შესასვლელი, ოფისი N3-3
ტელეფონი: (+995 32) 2 197 777 (3101)

ზუგდიდის სერვისცენტრი

კიკალიშვილის ქუჩა №1
ტელეფონი: (+995 32) 2 422 000 (ext. 2600)

ქუთაისის სერვისცენტრი

ილია ჭავჭავაძის გამზირი №33
ტელეფონი: (+995 32) 2 422 000 (ext. 2700)

ნალკის სერვისცენტრი

არისტოტელეს ქუჩა №5
ტელეფონი: (+995 32) 2 422 000 (ext. 2900)

ბათუმის სერვისცენტრი

ი. აბაშიძის ქუჩა №2, ბათუმი
ტელეფონი: (+995 32) 2 422 000 (ext. 2800)



თუში მეცხვარეების მიმართვა საქართველოს მთავრობას

გადასახადების ზრდა, დარგის სრული განადგურებისაქენ მიმართული პირდაპირი გზაა

თუშური ცხოვრების წესს კარგად ახსოვს მასზე განხორციელებული ე.წ. „კომუნისტური მენეჯმენტის“ ექსპერიმენტები: 1928 წელს – თუშური ცხვრის მიტოვების 30 წლიანი პროცესი „ნაზამატყლიანი, ცხიმიანი ქართული ჯიშის ცხვრის“ გამოყვანის მიზნით. 1961 წელს ეს ექსპერიმენტი იმის გამო შეწყდა, რომ სხვადასხვა დროს ახალი ცხვრის ჯიშის ექსპერიმენტალური ფარის უდიდესი ნაწილი აგანოს უღელტეხილზე გადასვლისას დაიწოდა (პირ ბაშალო რთულ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს). რუდესაც მთავრობამ თუშური ცხვრის ჯიშობრივი აღწარმოების (უკუპროცესი) შესახებ დადგინება მიიღო, იგი იმდენად იყო გადაჯიშვითი, რომ ძველი ძეგლი კოლმეურნეობაში კერძო პირის ფარაში 100 სულ თუშური ჯიშის დედა ცხვარს კლივს მივაგნეს. ამ ჯიშის აღდგენის ღონისძიებები 1961 წელს დაიწყო და ეს პროცესი დღესაც არ დაითავრებულა.

მეორე ექსპერიმენტი 1949 წელს დაიწყო, როდესაც სამთავრობო დადგენილებით თუშებს ჩამოერთვათ შირაქში დილიჩის 12000 ჰა საძოვარი, რადგან ე.წ. „ბერიას დადგენილებით“ საქართველოს თავისი თავი უნდა გამოეკვება ხორბლით. ეს ტერიტორია გადახნეს, თუშები კი თავისი ცხვრით ყიზლარისა და შირვანის გზებს გაუყენეს (ფეხით). 1952-1954 წლების მკაცრი ზამთრების გამო ყიზლარში და შირვანში ცხვრისა და ცხენის სულადობა მთლიანად განადგურდა, სახლში კი მხოლოდ მწყემსები და ძაღლები დაბრუნდნენ.

1950-იანი წლებიდან კიდევ ერთი სამთავრობო ექსპერიმენტი დაიწყო – თუშებისა და სხვა მთიელების იძულებით ჩამოსახლება ბარში. თუშეთის სახნავ-სათესი ფართობები საძოვრებად მეცხვარეებს გადაეცა, რამაც თუშეთის სოფლების მიმდებარე ე.წ. „ნაძრავი მიწების“ შეუქცევადი ეროზიული პროცესები გამოიწვია, რის გამოც გომენრის ხეობის სოფლების უმრავლესობას დღესაც სრული განადგურება ემუქრება.

ასეთ მდგომარეობას დაემატა წინა ხელისუფლების მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით

1 ჰა საძოვარზე საიჯარო ქირის 25 ლარით და ქონების გადასახადის 10 ლარით განსაზღვრა. მეცხვარეობის შემოსავლების თითქმის ნულოვანი ზრდის პირობებში (მატყელის ფასი, მისი ბაზრის უქონლობის გამო, საერთოდ ამოთიშულია ცხვრის შემოსავლებიდან) გადასახადების ზრდა პირდაპირი გზაა ამ დარგის უკვე კერძო სექტორის სრული განადგურებისაკენ. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს დადგენილება ფისკალური ნონსენსია, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით – სახელმწიფო რეკეტი.

საზაფხულო და საზამთრო მუნიციპალური საძოვრებით მეცხვარე-მესაქონლეები სარგებლობენ 4-4 თვის სეზონური ინტერვალით, ხოლო გაზაფხულ-შემოდგომის 4 თვის განმავლობაში – საცხვრე ტრასის მიმდებარე კერძო მესაკუთრეთა მიწის ფართობებით, რისთვისაც 1 სულ ცხვარზე მიწის მეპატრონეს უხდებიან 3 ლარს. მუნიციპალიტეტს საიჯარო ქირას და ქონების გადასახადს, საზაფხულო საძოვრებით 4 თვით სარგებლობისათვის უხდიან მთლიანი წლის საშუალო განაკვეთს (1,5+5) ლარს, ხოლო საზამთრო საძოვრით 4 თვით

სარგებლობისათვის ასევე მთლიანი წლის განაკვეთს (3+5) ლარს, ე.ი. ჯამში ორივეგან – 14,5 ლარს. ამას ემატება მიწის კერძო მესაკუთრეთა გადასახადი (ერთ სულზე 3 ლარი) და ყოველივე ეს მძიმე მდგომარეობაში აგდებს მეცხვარეობის ეკონომიკას, რასაც თუშები ცხვარ-მეცხვარის „სამჯერ გატყავებას“ უწოდებენ.

ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ქონების გადასახადის წლიური საშუალო განაკვეთი (5 ლარი) საზამთრო-საზაფხულო საძოვრებზე დიფერენცირებულ იქნეს იმ გაანგარიშებით, რომ ორივეგან ჯამში შეადგინოს 5 ლარი (2,5 საზაფხულო + 2,5 საზამთრო საძოვრებზე). საიჯარო ქირა, როგორც ქონების გადასახადზე საშუალო-სავაჭრო დანამატი, უნდა გაუქმდეს. რაც შეეხება შუალედურ, კერძო პირების მიწის ნაკვეთებით სარგებლობის გადასახადს, იგი არსებობდა ყოველთვის და მომავალშიც იარსებებს, რაც წარმოადგენს საცხვრე ტრასის მიმდებარე მიწების მესაკუთრეთა დამატებით შემოსავლის წყაროს.

ამასთან, ახმეტის მუნიციპალიტეტთან დღესაც არსებობს შპს „ქვემო ალვანის თუშური ცხვრის ჯიშთსაშენი“, რომელიც არა მარტო მონოპოლურად დაეპატრონა ქვემო ალვანის მეცხვარეობის საზაფხულო-საზამთრო საძოვრებს და უძრავ-მოდრავ ქონებას, არამედ ისიც კი მოახერხა, რომ რომელიც ნაციონალი მაღალჩინოსანის ერთი ხელის გაქნევით, ეკონომიკის სამინისტროს განკარგვაში არსებული თუშების ქონება და მიწა-წყალი წინასაარჩევნო პერიოდში საჩუქრად საკუთრებაში დაურეგისტრირა ახმეტის

მუნიციპალიტეტს. ასე მოხდა გაკოტრების გზაზე დამდგარი, მაგრამ ქონებით მდიდარი სამეურნეო ერთეულის თვითმმართველობასთან შერწყმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტს სხვა აღარაფერი დარჩა, მიიღო ეს საჩუქარი, ხოლო როდესაც ნაჩუქარ შპს-ს აღმოაჩნდება საგადასახადო დავალიანება, საჯარო აუქციონზე იყიდება მის ბალანსზე რიცხული, თუშეთში და შირაქში 80-იან წლებში აშენებული განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და სამეურნეო დანიშნულების ინფრასტრუქტურის ობიექტები.

ახმეტის მუნიციპალიტეტმა 2010-2011 წლებში აუქციონზე გაიტანა დაცული ლანდშაფტის სოფლების ომალოს და შენაქოს მიმდებარე ისტორიული სასოფლო და სახატე ტერიტორიები, დაყოფილი სამოსახლო



და სააგარაკო ნაკვეთებად, თითქოს ეს დაცული ლანდშაფტი კი არა, მუნიციპალური საუნეებო-სააგარაკო ტერიტორიები იყოს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ენერგეტიკის სამინისტროს ე.წ. „ტყის ფონდის მიწების“ სახით სამართავად გადასცა თუშეთის მთლიანი დაცული ლანდშაფტი 48 სათემო სოფელთან ერთად, შედეგად, შეუძლებელი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსებით, შეწყდა კერძო საკუთრების ლეგალიზება, შეჩერდა ოჯახური სასტუმროების მშენებლობა და ა.შ.

ზოგიერთ საძოვრებზე, საიჯარო ურთიერთობების მოგვარების მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა საიჯარო აუქციონი მეცხვარეებს შორის, რაც ათასწლეულების განმავლობაში უპრეცედენტო შემთხვევაა თუშურ მეცხვართაში, რადგან ეს პროცესი ყოველთვის ექვემდებარებოდა მეცხვარე-ამხანაგებს შორის ტრადიციულ რეგულირებას – საძოვრის ფლობის პრიორიტეტი ეკუთვნის ბინის მესაკუთრეს.

აუქციონის საიჯარო ფასმა მიაღწია ასტრონომიულ ციფრს – 102

ლარს ერთ ჰექტარზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თუში მეცხვარეები ტყუილად წუნუნებენ გადასახადების ზრდის თაობაზე, სინამდვილეში კი თუშ მეცხვარეს ურჩევნია სიცოცხლე დათმოს, ვიდრე შეეღოს 40-50 წლის განმავლობაში მის საცხოვრისად ქვეულ ცხვარ-ბინას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა მიიღო 54 000 ლარი საბიუჯეტო შემოსავალი, გამარჯვებული მეცხვარე გაკოტრდა, ხოლო აუქციონზე დამარცხებულებს კი ამხანაგ – მეცხვარედ აღარავინ ლებულობს, რადგან მწყემსური ტრადიციული კოდექსის დარღვევით, უღირსი საქციელი იკადრეს. ისეთ პირობებში, როდესაც ტრადიციულ მორალს უპირისპირდება ფული, თუშები ფულს არაფრად აგდებენ და მთლიანად მორალს ექვემდებარებიან, ეს კი დამშეული ბიუჯეტის მქონე მუნიციპალიტეტისათვის შეიძლება გაუგებარიც იყოს.

იმ დროს, როდესაც თუშური ცხოვრების წესის განმტკიცებაში, ტრადიციული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის განვითარებაში, ბუნებრივ კულტურული გარემოს შენარჩუნებაში თუშებს ეხმარებიან ევროპისა და ამერიკის უმსხვილესი დონორი ორგანიზაციები, საქართველოს წინა ხელისუფლებამ ისე დააკინა ამ საკითხების მნიშვნელობა, რომ ყველაფერი გადასაწყვეტად ახმეტის მუნიციპალიტეტს შეატოვა.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში განთავსებულია 45 ერთეული ცხვრის სადგომი ბინა (40000-მდე სული ცხვარი). ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ზონირება და მენეჯმენტის გეგმის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ფართობებიდან ცხვრის გაყვანას ქურციკის (ჯეირანის) რეინტროდუქციის მიზნით, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ცხვარ-მეცხვარეების თავზე.

ჩვენ ვეთანხმებით პროექტის ავტორებს იმაში, რომ ამ ტერიტორიაზე ქურციკის არსებობა ისტორიული რეალობაა, მაგრამ თუშური ცხვრის ჯიში რომ საქართველოს ენდემია და ამ ენდემის ჰაბიტატი თუშეთ – შირაქ-სამუხის ბიოსოციალური კომპლექსია, ამაზე მსოფლიოში უკვე აღარავინ დაობს. ამავე დროს, არსად მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ჯეირანი ივრის ზეგნიდან ცხვარ-მეცხვარემ განდევნა. ის კი ფაქტია, რომ მინგეჩაურის ხელოვნურმა წყალსაცავმა გადაკეტა შირაქ-სამუხისა და ჯეირან-ჩოლის

(აზერბაიჯანი) ველის შემაერთებელი ჯეირანის სამიგრაციო დერეფანი, რაც ამ სახეობის ჩვენს ტერიტორიაზე არსებობის ერთადერთ ბუნებრივ არტერიას წარმოადგენდა. ეს არის ამ ტერიტორიაზე ჯეირანის გადაშენების მიზეზი და არა ცხვრის მიერ მისი ჰაბიტატის „მიტაცება“. ჯეირანის რეინტროდუქციის პროექტი ითვალისწინებს ამ სახეობის მცირე პოპულაციის ყუმრო-ბუღამოედნის ლოკალურ ვოლიერში მოშენებას, რაც, ჩვენი აზრით, ზოოპარკის ეფექტს უფრო ქმნის და ამ ღონისძიების შემდგომი „გაბუნებრივება“ დიდ ეჭვს იწვევს ზემოაღნიშნული ბუნებრივი სამიგრაციო დერეფნის არარსებობის გამო. მოვლენათა ანალოგიური ლოგიკით, ძნელი წარმოსადენია, რა დაემართება თუშურ ცხვარს, თუ მას გადაუკეტავთ თუშეთისაკენ მიმავალ საცხვრე-სამიგრაციო ტრასას და ჩავტოვებთ შირაქ-სამუხის სტაციონარში. აშკარაა ერთი რამ, რომ მინგეჩაურის წყალსაცავის აშენებამდე ივრის ზეგანზე ჯეირანის პოპულაციის ჰაბიტატს წარმოადგენდა შირაქ-სამუხისა და ჯეირან-ჩოლის ტრანსსასაზღვრო ტერიტორიები.

თუშური ზეპირსიტყვიერება მოწმობს, რომ არც მამინ იყო ცხვარ-მეცხვარეობა ჯეირანისათვის პრობლემა. პირიქით, ხშირად იხსენებენ არაერთ ფაქტს იმის შესახებ, რომ მგლის ჯოგს გაქცეული ჯეირანი ცხვრის ფარეხს აფარებდა თავს, რაც უდიდესი ბუნებრივი დამცველია თუშურ ფოლკლორულ სიმღერაში: „შირაქო, ცხვრისა დედაო, ზედ ჯეირნების ფარაო...“ ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ შირაქ-სამუხის ტერიტორიებზე ისტორიულად მოხდა ცხვრისა და ჯეირანის ჰაბიტატების ურთიერთგადაფარვა, რაც მათი არა ანტაგონისტური, არამედ ჰარმონიული თანაცხოვრების უნიკალურობით არის აღსანიშნავი. კეთილი ინებონ ჯეირანის ფანდემმა (ამ სიტყვის ჭეშმარიტად დადებითი მნიშვნელობით) და თუშმა მეცხვარეებმა, ურთიერთგანდევნით კი არა, სინქრონით მიაღწიონ ამ ისტორიული რეალობის რესტავრაციას.

რაც შეეხება მეცხვარეობის ეკონომიკურ მახასიათებლებს, ტიტანური შრომით შექმნილ პროდუქტიაზე მოთხოვნილება იმდენად მცირეა, რომ ვერ ანაზღაურებს განუღებ შრომით და მატერიალურ დანახარჯებს. ცხვრის ხორცის ძირითადი მომხმარებელია აზერბაიჯანელი მოსახლეობა და ეს უნიკალური ჯიშის ცხვრის დიდი რაოდენობა მინიმალურ ფასებში კერძო შუამავლების მეშვეობით გაედინება აზერბაიჯანში და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში. მატყლის



უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვან განსაზღვრის ამ მონაკვეთებში. იმ შემთხვევაში, თუ მეცხვარეობა შენედა არსებობას, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ეფექტურობა ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდება. ამასთან, თუშური ცხოველების წესით მოცული გეოსოცია-

მოწყავით კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, ქსოვენ ფარდაგებს, თელავენ ნაბდებს, ლებულობენ ტურისტებს და ა.შ. მეცხვარის ოჯახისათვის ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს. თუ მეცხვარე აღარ ნავა ცხვრით თუშეთში, აღარც ოჯახის წევრები ნავლენ. ეს გარემოება, ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობის პირობებში, კიდევ უფრო შეამცირებს მის რაოდენობას სოფლებში, დაიწყება სოფლების დაცარიელება და სრული განადგურება, შეწყვეტს არსებობას ტრადიციული განსახლების სისტემა, როგორც ეს მოხდა 1950-იან წლებში მთიელთა იძულებით ბარში ჩამოსახლების შედეგად. გადაშენების გზას გაუდგება თუშური ჯიშის ცხვარიც, ცხენიც და ყველაფერი ის, რაც თუშ კაცს აკავშირებს საქართველოს ისტორიასთან საუკუნეთა მანძილზე: დაკნინდება, ხოლო შემდგომში კი მთლიანად მოისპობა თუშეთის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბაზა – მეცხვარეობა, როგორც ეს დაემართა დუშელეებს, ყაზბეგელებს და თითქმის ყველა ამ დარგის მიმდევარს.

ფასით უახლოეს წარსულში მეცხვარე ანაზღაურებდა მთელ დანახარჯებს, დღეს კი მისი სარეალიზაციო ბაზარი საქართველოში საერთოდ არ არსებობს და ძალიან ბევრი მეცხვარე მას უბრალოდ თავს ანებებს საპარსებზე, რადგან მატყლის ფასი ვერ ფარავს ტრანსპორტირების ხარჯებსაც კი.

როგორც აღვნიშნეთ, მეცხვარეობის სადგომი ბინები თუშეთშიც და შირაქ-სამუხშიც განთავსებულია უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრში და როგორც ცნობილია, თუში მეცხვარე ისტორიულად ითვლება სახელმწიფო საზღვრის შეუვალ დამცველად და ქართველ სამხედრო მესაზღვრეებთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფო

ლური არეალი მდებარეობს ევროპულ და აზიურ ცივილიზაციათა შესაყარზე და თუშთა ტომს ყოველთვის ჰქონდა და მომავალშიც უნდა ჰქონდეს ევრაზიულ კულტურათა შორის სახალხო-დიპლომატიური დიალოგის ფუნქცია, რომელიც ეყრდნობა ამ ტომისათვის დამახასიათებელ ქართულ ეროვნულ იდენტურობას და კავკასიური ტოლერანტობის ისტორიულად შეუღაბავ პრინციპებს.

მეცხვარეები თუშეთის საზაფხულო საძოვრებზე მიემართებიან თავიანთი ოჯახებით, რომლებიც ცხოვრობენ საკუთარ სახლებში (სასოფლო დასახლებებში) და ეწევიან შინამეურნეობას – უვლიან მსხვილფეხა საქონელს,

ზურაბ მურთაზაშვილი
ასოციაციას „თუში მეცხვარეს“
ხელმძღვანელი
(კახეთის საინფორმაციო ცენტრი)

ჩვენი სიმდიდრე

საქართველოს სიძლიერე მიწასთან მარადიული კავშირის ტრადიციასშია

ჩვენი საგზოგულო პირველ მიწათმოქმედთა („გაორგოს“ გარეშულად „მიწათმოქმედს“ ნიშნავს) ძველანა და ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაზიარებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საფუძვლით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამჟამინდურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.



ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ზოგჯერ ომი მიმდინარეობს სულ რამდენიმე კვ. კმ. (მაგალითად, ახლახან ამტყდარი კონფლიქტი ტაილანდსა და კამბოჯას შორის) გამო. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას

დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობი-

ანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის საკუთარი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს ინდივიდუალური გზები კაცობრიობის საერთო მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა – მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრედიტული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავედება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას



და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.

ამავე დროს, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურ-ვადი“ (შეზღუდული) (VerfGEG21, 73). რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის მატებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgesetzblatt Nr. 88/1994).

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი ობიექტური და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 73), მოსარჩლის მოსაზრება, რომ „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა „კაპიტალის შემთხვევაშია,“ არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ „ის გარემოება, რომ მიწა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.“

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ:

– მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორია, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ;

– საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდით განგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

– მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმახლებლის ფუნქციის მოშლას;

– სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით №3/1/5/512, საქართველოში უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის აკრძალვა ძალადაკარგულად ითვლება. გაუქმდა უკანასკნელი შეზღუდვები მიწის განუკითხავ გასხვისებაზე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რითაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა გატანილი აღმოჩნდა ღია ბაზარზე, სადაც, პრაქტიკულად, არც ერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არსებობს.

საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ არის დამუშავებული კანონმდებლის მიერ იგივე შინაარსის ნორმის მიღება, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა, ეს არ გამოორიცხავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში – კანონში არა ბლანკეტური აკრძალვა, ისეთი, როგორც ნორმის გაუქმებამდე იყო, არამედ მხოლოდ შეზღუდვა ჩაიდოს (ამის არგათვალისწინება იმის მიზეზი, რომ მიწაზე მორატორიუმის გამოცხადებას ახალი ვნებათაღელვა და საკონსტიტუციო სასამართლოში ახალი სარჩელის შეტანა მოჰყვა). სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ იგი არაკონსტიტუციურად თვლის უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ფლობის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მუდღუნდება მესაკუთრის მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

ამიტომაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული

შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ. მაგალითად, ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მინების კანონებით. ერთ-ერთი მინის (ბურგერლანდის) „კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“ უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალუ-



რად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება. ხოლო თუ უცხოელს ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ. შვეიცარიაში უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარიული მიწის „გაუცხოება“. თურქეთის კანონმდებლობით უცხოელზე გაყიდული მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს (გაზრდა გამოწვევის შემთხვევაში მაქსიმუმ 30 ჰექტარამდე არის შესაძლებელი). საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთან, იქ საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75%-ს მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩათვალოს. სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი ან რამდენიმე

ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებას შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალავს სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული პროფესიის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე შეზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში აუცილებელია შევიდეს თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული რიგი ცვლილებები და სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელთა მიმართ დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები:

- ა) უცხოელის მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დაშვებულია მხოლოდ სამი (3) ჰექტრის ოდენობით (თითოეულ კომლზე/პირზე). საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5 % შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ ისე, რომ მისი ფუნქციები შეესაბა-

მებოდეს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს;

გ) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელშიც საქართველოს მოქალაქე წილობრივად ფლობს არანაკლებ 51 %-ს;

დ) უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, უნდა:

- ცხოვრობდეს საქართველოში კანონიერად ბოლო 6 წლის განმავლობაში;

- ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრების და აგრარული პროფესიის ხუთწლიანი გამოცდილება;

- ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო კაპიტალს;

ე) სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია მხოლოდ სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირებს შორის;

ვ) საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვისა და მიწის კატეგორიის შეცვლის მსურველთა ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს: პირველი – მიწის კერძო საკუთრება და მეორე – მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის უცხოელების მიმართ ძირითადად ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული. ამისთვის კი საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა. ასევე საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში აღდგეს გაუქმებული მუხლი – სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ.

დასასრულ, ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება შევარბილოთ დაშვებული შეცდომის შედეგი – მივიღოთ მიწათსარგებლობის ახალი კანონი, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.

პაატა კულუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი





უკულმა დაწყებული კოოპერაცია

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბებას მცირემიწიანობის პრობლემის მოგვარების და ქართული პროდუქციის კონსერვაციის უზრუნველყოფის მიზნით, აქამდე თვითრეგულირებადი საზაზრო მიქანიზმის გაქვინებას ხელისუფლებამ სახელმწიფო რეგულაციების საშუალებით ცდილობს.

კოოპერაცია რომ ქვეყნისთვის თვითრეგულირებადი საზაზრო მექანიზმი იყოს, ის უძველესი დროიდან არსებობდა და დღესაც არსებობს საქართველოში, ამის დასამტკიცებლად ქართული სოფლის ცხოვრებიდან რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია: ფერმერების მიერ ერთმანეთის დახმარება მიწების დამუშავებისა და შინაური პირუტყვის მოვლის დროს.

ფერმერები მიწის დამუშავებისას ერთმანეთს იმიტომ ეხმარებიან, რომ ერთობლივი მუშაობის შემთხვევაში გასაკეთებელი საქმე უფრო სწრაფად, ხარისხიანად და ნაკლები ენერჯის დახარჯვით კეთდება.

შინაური პირუტყვის მოვლისას, რამდენიმე საუკუნის წინ მოიფიქრეს ქართველებმა, რომ ჯობია მთელი სოფლის ნახირი მორიგეობით მწყემსონ და შედეგად თითოეულმა თვეში მხოლოდ ერთი დღე დაკარგოს ნახირის მწყემსვაზე (ან თანასოფლელი დაიქირაონ მწყემსად), ვიდრე თითოეულმა მათგანმა ყოველდღე მხოლოდ საკუთარი ნახირი მწყემსოს.

მსგავსი მაგალითების გახსენება კიდევ შეიძლება, მაგრამ უკვე არსებულ მაგალითებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ვთქვათ მოკლე დასკვნა: ქართულ სოფელში კოოპერაცია იმიტომ არსებობს, რომ ამას სრულიად პრაგმატული მოსაზრებები განაპირობებს რისი მოკლე ფორმულირებაც შემდეგნაირად არის შესაძლებელი: „კონკრეტული რესურსის გამოყენება ერთობლივი ძალებით უფრო ეფექტურია, ვიდრე სათითაოდ“.

თუ ამ ფორმულირებას დავეთანხმებით, ეს ნიშნავს იმას, რომ თანამშრომლობისთვის საჭიროა რესურსი, ამ თანამშრომლობის საგანი. მაგალითად, თუ არ იარსებებს ნახირი, შესაბამისად არც იარსებებს მისი ერთობლივი თანამშრომლობით მწყემსვის აუცილებლობაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღეს, როდესაც ვიცით, რომ სახელმწიფო საკმაოდ ფორსირებულად ახდენს კოოპერატივების ჩამოყალიბების იდეის პოპულარიზაციას, მართებული იქნება დაისვას კითხვა:

– რამდენად არსებობს კოოპერაციის კიდევ უფრო განვითარების რეალური საფუძვლები?

– როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამოჩნდა, ნახირის შემთხვევაში ურთიერთთანამშრომლობის საფუძველს თავად ნახირის არსებობა წარმოადგენს. მარტივი ლოგიკაა: ანუ ჯერ ჩნდება თანამშრომლობის საგანი და შემდგომ – თანამშრომლობაც. ამ პროცესის უკულმა წარმოდგენა კოოპერატივების შემთხვევაში საკმაოდ რთულია. კოოპერაციის მეტად განვითარების რეალურ საფუძვლებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული განვითარება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის სტაბილური გასაღების ბაზრების მოძიება. ამ მიმართულებით კი ქვეყანაში პროცესები ან ადგილიდან არ დაძრულა, ან ნელა ვითარდება, გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე თავად კოოპერაციის იდეის ფორსირება. რატომ უნდა შექმნან დღეს ფერმერებმა კოოპერატივები? განა მათ პროდუქციაზე

მოთხოვნა იმდენად მზარდია, რომ საკმარის რაოდენობას ვერ აწარმოებენ კოოპერატივის შექმნის გარეშე? ანდა ქვეყანაში არსებობს უზარმაზარი სასაწყობე ინფრასტრუქტურა და არ არსებობს იქ შესაბამისი მოსავალი? ან იქნებ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების 100% გასარწყავებულია და სათითაოდ ვერ აუდიან ფერმერები მათ დამუშავებას? ანდა იქნებ არსებობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მოთხოვნებსაც მიწოდებაზე ქართველი ფერმერები ვერ აკმაყოფილებენ?

ყველა ამ კითხვაზე პასუხი ერთია, – არა, ქვეყანაში ჯერ მსგავსი არაფერი არსებობს.

სამაგიეროდ, არსებობს კოოპერაციის იდეა, როგორც ქართული სოფლის გადარჩენის უმთავრესი საფუძველი. რატომღაც ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ჯერ საჭიროა კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა და ამ ფორმით შექმნილი კოოპერატივების შემდგომი მდგრადი განვითარება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ კოოპერატივების ჩამოსაყალიბებლად შექმნილი საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელებით, რაც მცდარი შეხედულებაა – ამ სიტუაციაში, როცა არ არსებობს ამის რეალური ეკონომიკური საფუძვლები, კოოპერატივი ან არ შეიქმნება, ან შეიქმნება და იარსებებს მხოლოდ სახელმწიფოს სუბსიდირების ხარჯზე, ამ სუბსიდირების დასრულებამდე.

ასევე საორიენტაციოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რამდენიმე უარყოფითი შედეგი, რაც ამ წამოწყების მარცხს მოჰყვება.

სახელმწიფო თანხების არაეფექტური ხარჯვა; კოოპერაციის იდეის დისკრედიტაცია; დაკარგული დრო და კიდევ ერთი იმედგაცრუება.

www.georgianels.ge

რა დააზავა დანარჩენმა კულტურებმა?

შურნალ „ახალი აბრარული საქართველოს“ თეზის-ნოტიციის პრეზენტაციის იმპრესიის დასრულების შემდეგ

თითოეული ქართველისათვის საამაყო ის სიტყვები რაც ბატონმა პრემიერ-მინისტრმა ქართული ვაზისა და ღვინის შესახებ თქვა. მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ვაზის ჯვარი საუკუნეების განმავლობაში სიმბოლო იყო და არის, ხოლო ღვინის წარმოების კულტურა, ქართველი კაცის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს წარმოადგენდა.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ფაქტს, როცა ქართველმა გლეხმა კახეთში თავისი ხელით ვაზი გაჩენა. მან ამას ტრაგედია უწოდა! დიახ, ნამდვილად ტრაგედიაა ვაზის გაჩენა! დაკრფილი ციტრუსის გადაყრა! ჩაის ფართობების გადანვა! ათასობით ჰექტარი სავარგულების გაუდაბნობა! ეს დღევანდელი რეალობაა.

პრემიერ მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ შეიქმნება ღვინის მუზეუმი, სადაც თავს მოიყრის ქართული ღვინის მთელი ისტორია (თუ არ მტყდება, ასეთი არსებობდა მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტში) და დაწესდა ქართული ღვინის საერთაშორისო დღე.

რაზეც ჩვენი პრემიერ-მინისტრი დღეს ლაპარაკობს, ჩვენ უკვე ის ადრეც გვექონდა, მხოლოდ დავანგრეთ და გავანადგურეთ.

მისასალმებელია, რომ ვინცებთ აღდგენას, რომ 2013 წლის რთველი არნახული წარმატებით ჩატარდა. დიდი ბრძოლის შემდეგ ნელ-ნელა ვიბრუნებთ რუსეთის ბაზარს და ჩვენი ღვინის სხვა ქვეყნებში წარმატებით იყიდება, ამიტომ არის, რომ დღეს კახელი გლეხი ვაზის გაჩენაზე კი არა, მის გაშენებაზე ფიქრობს. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ამას ხელს უწყობდა და უწყობს ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების მონაცემები, რაც საფუძველია მაღალხარისხიანი ღვინის წარმოებისა და დამზადებისათვის.

სამწუხაროდ, დღევანდელი მთავრობა და კერძოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას იჩენს დანარჩენი კულტურების მიმართ. განსაკუთრებით იგი შეინიშნება ჩაისა და ციტრუსოვნებთან დამოკიდებულებაში.

დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში, სადაც შედარებით მწირი ნიადაგებია, ტენიანი სუბტროპიკების პირობებში წინასწარი გამოკვლევების საფუძველზე გავრცელება პოვა ჩაის, ციტრუსოვნების და სხვა სუბტროპიკული ზონის კულტურებმა.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ კულტურებს დასავლეთ საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნიათ. იყო დრო, როცა ეს კულტურები საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვან ადგილს იკავებდნენ. დღეს კი ისინი მთლიანად იგნორირებულია.

სოფლიო მასშტაბით ადამიანის კვებით ღირებულებაში ჩაის გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მას სიცოცხლის ელექსირს უწოდებენ. იგი სახალხო სასმელია. 1970-დან 1990 წლამდე ჩაის კულტურას თითქმის სამოცი ათასი ჰექტარი ეჭირა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო.

ჩაის კულტურის დეგრადაციის და ქაოსის მძიმე ხანა 1990 წლიდან დაიწყო. ეს ძირითადად გამოიწვია იმან, რომ დაიკარგა ქართული ჩაის გასაღების ბაზარი, ის კი არა, თვით საქართველომაც უცხოეთიდან დაიწყო საეჭვო ხარისხის და ფალსიფიცირებული ჩაის პროდუქციის შემოტანა, რომელსაც ფართო რეკლამას უწევდა ჩვენი სატელევიზიო არხები. პროცესებმაც არ დააყოვნა და ფერმერთა უმეტესობამ, რომლებმაც კერძო მფლობელობაში მიიღეს ჩაის პლანტაციები, დაიწყეს მისი ამოძირკვა და გადანვა. განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩაი მონური კულტურაა, უსაფუძვლოა, რადგან ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფა არ მოითხოვს არავითარ ფიზიკურ გადატვირთვას. ჩაის პლანტაციათა უმეტესობა დღეს თითქმის სრულიად

განადგურებულია, 20 წელზე მეტია დაფარულია სარეველებით. ამას ემატება ისიც, რომ ჩაის ფართობები ასაკოვანია და მოითხოვს განახლებას, მაგრამ არ არსებობს ჩაის საწარმო მეურნეობები.

2006 წელს ჩაის ფართობების ინვენტარიზაცია მეჩაიეობის თითქმის ყველა რაიონში ჩატარდა. განისაზღვრა ის ფართობები, რომელიც ექვემდებარება რეაბილიტაციას და რომელიც – ამოძირკვას. ამ შედეგებს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ფაქტობრივად სახალხო სასმელად აღიარებული ჩაის კულტურა, რომლის განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში კლიმატისა და ნიადაგის მხრივ ყველა პირობაა შექმნილი, არავის ანაღვლებს.

ისმის კითხვა – რატომ? – პასუხი არ არის!

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც თავისი არსებობის ოთხმოც წელს ითვლის აღარ ფუნქციონირებს. იგი გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს და გადავიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის „აღმამენების“, კახა ბენდუქიძის დაქვემდებარებაში. ამჟამად მას ასეთი სახელწოდებით მოიხსენიებენ – სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

ანალოგიური მდგომარეობაა ციტრუსოვნათა კულტურებში. გასაღების ბაზრების დაკარგვამ გამოიწვია ციტრუსოვნათა ნაყოფის თვითღირებულების დაცემა. ფერმერები ვერ ინაზღაურებენ ციტრუსოვნათა კულტურის მოვლაზე დახარჯულ თანხას. მათი უმეტესობა ნაყოფს მოკრეფის შემდეგ ყრის ან მცენარეზე ტოვებს და ამით კიდევ უფრო აკნინებს მას. პლან-



ტაციათა უმეტესობა ასაკოვანია, საჭიროა მათი ამოძირკვა და უფრო პერსპექტიული ჯიშებით განახლება. დღეს მხოლოდ ჩაქვის ციტრუსების საცდელ-საკოლექციო და სადემონსტრაციო საწარმო მოქმედებს, რომელიც 2011 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „აიპი აგროსერვისცენტრის“ თაოსნობით შეიქმნა.

საუბედოდან პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ დღეს ქვეყანაში არ ტარდება კულტურათა ინვენტარიზაცია. გაურკვეველია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სავარგულების რაოდენობა. არ არის განსაზღვრული რომელ ფართობს ესაჭიროება რეაბილიტაცია და რომელს თავიდან გაშენება, ან სხვა ალტერნატიული კულტურის მოძებნა.

20 წელზე მეტია არ მომხდარა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევა. ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე არ ხდება კულტურათა გადაადგილება. დარღვეულია საკვები ელემენტების ბალანსი. გაუდაბნობულ ნიადაგებზე შეცვლილია ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლები, რაც მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

იმედი გვაქვს, როგორც ხდება თანდათან მევენახეობის დარგის აღდგენა, ასევე მოხდება მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში და ეს დარგები მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

რ. ტაბიძე, ცენტრ „ანასელის“ დირექტორი, სოფ. მეურნეობის აკადემიური დოქტორი. მამუშარაძე, სოფ. მეურნეობის აკადემიური დოქტორი.



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო „საქონლულტაციო ბარათების“ გამოქვეყნებას იწყებს. „საქონლულტაციო ბარათები“ მოქალაქეებს დაემატება მარტივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიიღონ უძრავი ქონების და პიზნის რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაცია.

საჯარო რეესტრი ინფორმაციას აქვეყნებს, თუ როგორ უნდა დარეგისტრირდეს საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. რეესტრის ინფორმაციით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს განეკუთვნება ის მიწის ნაკვეთები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენდება. ასეთია: საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, საძოვარი, სათიბი, სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე მიწის ნაკვეთები.

იმისათვის, რომ კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდეს/წარმოიშვას საკუთრების უფლება, აუცილებელია მოხდეს ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს მესაკუთრე განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ) მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

საკუთრების უფლების რეგისტრაცია

ციისათვის დაინტერესებულმა პირმა/მესაკუთრემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისს და წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები. ეს დოკუმენტებია: 1) განცხადება (აღნიშნული ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ); 2) მესაკუთრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 3) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად, სათანადო წესით დამონმებული ასლი (საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, ცნობა/ინფორმაცია სახელმწიფო არქივიდან, რეფორმის შედეგად გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, ამონაწერი საკომლო წიგნიდან, საგადასახადო სია, საკუთრების მოწმობა და სხვა); 4) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია (მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვას ანხორციელებენ შესაბამის რეგიონში მოქმედი სამომავლო კომპანიები).

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია და დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების დაზუსტება (გარდა თვითმმართველი ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში და რეკრეაციულ ტერიტორიებზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა) წარმოებს მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე 4 სამუშაო დღის ვადაში.

შესაძლებელია ასევე დაჩქარებული მომსახურების განხორციელება. ასეთ შემთხვევაში მომსახურების საფასური და ვადები შემდეგია: განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი

სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღე იქნება მომდევნო სამუშაო დღე.

ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი

სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღე იქნება მომდევნო სამუშაო დღე.

პრობლემის პირისპირ

კვირცხის ქართული მწარმოებლები იმპორტიორებს საქველმოქმედო აქციებით „დაუპირისპირდებიან“



კვირცხზე გამოშვების თარიღის სავალდებულო მითითების მიუხედავად, კვირცხის მწარმოებელი ქართული კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მაინც ვერ გაუმჯობესდა.

როგორც bpn.ge-ს კომპანია „კუმისის“ დამფუძნებელმა, ზურაბ უჩუმბეგაშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება, რომ კვირცხს გამოშვების თარიღი დაენეროს, იმპორტი საქართველოში 15%-დან 7%-მდე შემცირდა. თუმცა, ადგილობრივ მწარმოებებს რეალიზაციის პრობლემა მაინც აწუხებთ.

„ბაზარი გახსნილია უკრაინული, თურქული და ბელორუსის პროდუქციისთვის. მათი ფასი ზუსტად იმდენივეა, როგორც ჩვენი, თუმცა, იმპორტიორები ამას არ დაგიდევნენ. პროდუქტი შემოაქვთ, ხშირად ნახევარსაც ვერ ყიდვიან, ბაზარზე ფასებს აგდებენ, რომ უფრო მეტი ზარალი თავიდან აიცილონ და შემდეგ გადიან. მათ ად-

გილს კი უკვე სხვა იმპორტიორი იკავებს. ჩვენც, სხვა გზა არ დაგვრჩენია, კვერცხი თვითღირებულების ფასად გავყიდოთ”, – განაცხადა უჩუმბეგაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს კვერცხის ბაზარი მთლიანად გაჯერებულია, ადგილობრივ წარმოებას კი შეუძლია, მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილოს. ბაზრის დაცვის



მოთხოვნით „საქართველოს მეფრინველეთა ასოციაციამ“ მთავრობას არაერთხელ მიმართა, თუმცა, უშედეგოდ.

„აღდგომას ველოდებით, როცა ის ჩაივლის, კვერცხის სეზონი ზაფხულისთვის მოკვდება. მოგვიწევს, როგორც ყოველთვის, ან ერაყში გავიტანოთ ექსპორტზე ნახევარ ფასად, ამასთანავე, ჩვეული საზაფხულო ფასდაკლებები დავინყოთ”, – აღნიშნა მან.

როგორც „კუმისის დირექტორმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ერთი ყუთი კვერცხის ფასი 94,5 ლარია, მაისისთვის მას 65 ლარამდე გააიაფებენ, საიდანაც 5 ლარს მარკეტინგული ღონისძიებებისთვის დახარჯავენ.

„ინტენსიურად დავინყეთ ქართული პროდუქციის რეკლამირება მასმედიაში. ამასთანავე, ვგეგმავთ სხვა საქველმოქმედო აქციებსაც: საპატრიარქოს ფონდში თანხებს გადავირცხავთ, რომელიც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს მოხმარდება”, – განაცხადა „კუმისის“ დამფუძნებელმა.

ახტუალური თემა

საქართველო თხილის უმსხვილეს მსოფლიო ექსპორტიორთა ხუთეული შედის, თუმცა თხილის გადაამუშავებელ კომპანიებს ქვეყანაში პრობლემები ექმნებათ

საქართველოს თხილის გადაამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) პროექტის ხელშეწყობით 2013 წლის 31 დეკემბერს დაარსდა. ასოციაციაში თხილის მწარმოებელი, გადაამუშავებელი და ექსპორტიორი 26 კომპანიაა გაერთიანებული.

როგორც კვლევები ადასტურებს, თხილის წარმოება სოფლის მეურნეობისა და ზოგადად საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, რამაც განაპირობა გადამამუშავებელი და ექსპორტიორი კომპანიების გაერთიანება, რომლის მიზანი მეთხილეობის დარგისა და ქართული თხილის ადგილობრივ და გარე ბაზრებზე პოპულარიზაცია და კონკურენტუნარიანობის გაზრდაა. ასოციაცია ასევე ისახავს მიზნად ტრენინგებისა და სხვა საშუალებებით დაეხმაროს წევრებს კომპანიებს საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული, იურიდიული და ფინანსური პრობლემების მოგვარებაში, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაში, გაყიდვების სწორად ორგანიზებაში, ფინანსური უნარ-ჩვევების ამალგებაში და სხვა. ამასთან, დარგში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან,

საფინანსო ინსტიტუტებთან.

როგორც საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ირინა ჯავახიძე ამბობს, – თხილი საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რადგან ქვეყანა თხილის უმსხვილესი მსოფლიო ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედის. 2013 წლის მონაცემებით თხილი საქართველოს მთლიან ექსპორტში მესამე ადგილზეა და ექსპორტირებული თხილის საერთო ღირებულებამ 167 000 000 აშშ დოლარს აღწევს. შესაბამისად, ამ სექტორში დასაქმებული პირთა რიცხვი ძალიან დიდია. ქვეყანაში მოწეული თხილის მოსავლის უმეტესი ნაწილი ადგილზე გადამამუშავდება, ხოლო მიღებული პროდუქცია, ნახევარფაბრიკატი (თხილის გული, მოხალული თხილი და ა.შ.) საზღვარგარეთ გადის.

დღეს თხილის ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშე თურქეთია, მას ბაზრის დაახლოებით 75% უჭირავს,



შესაბამისად ბაზარზე ფასის განმსაზღვრელიც ის არის, მას მოსდევს იტალია, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილს აზერბაიჯანი და საქართველო იწივს.

ქართული თხილი ექსპორტზე ევროპის და აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში გადის: უკრაინაში, რუსეთში, ჩინეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ერაყში და სხვ.

ქართულ ეკონომიკაში შეტანილი სოლიდური წვლილის მიუხედავად, როგორც ქალბატონი ირინა განმარტავს, თხილის გადამამუშავებელი კომპანიები საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემის წინაშე დგანან.

კერძოდ: შემოსავლების სამსახურის ბრძანებით „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობის შემუშავებული სამთავრობო კომისიის“ ბრძანებით 2012 წლის 3 სექტემბრიდან (ბრძანება №16141) დაუმტვრეველი თხილის გადამამუშავებისას შრობის (ტენის შემცირების) საწარმოო დანაკარგი აგვისტოს თვეში თითოეულ შესყიდულ პარტიაზე 18%-ით განისაზღვრა, ხოლო სექტემბერში – 8%-ით. ამის გარდა, ბრძანებით განისაზღვრა, რომ ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში თხილის შენახვისას შრობის (ტენის შემცირების) საწარმოო დანაკარგი თითოეულ შენახულ პარტიაზე 0.1%-ი იქნება.

აღნიშნული ბრძანებით დადგენილი დანაკარგების ნორმების გამოყენება ამ ბიზნესში დასაქმებული კომპანიებისათვის პრაქტიკულად არარეალურია, ვინაიდან სხვადასხვა თვეებში (აგვისტო-სექტემბერი) შესყიდული თხილის პარტიების ცალ-ცალკე აღრიცხვა გადამამუშავებელი საწარმოო პროცესის შეუფერხებლად შეუძლებელია. ამის გარდა, ბრძანებით გაურკვეველია რომელ პერიოდში შესყიდულ თხილის პარტიებზე ვრცელდება ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში თხილის შენახვისას დადგენილი შრობის საწარმოო დანაკარგის ნორმები.

ზემოაღნიშნულის გარდა, ბრძანე-

რი) უნდა შეესაბამებოდეს. ლოგიკურად, თხილის 40%-დან 6%-მდე დაყვანის შემთხვევაში დანაკარგი 34%-ს უნდა შეადგენდეს, ვინაიდან შრობის პროცესში თხილი ნაჭუჭიანად შრება და შრობისას დანაკარგი (თხილი შედგება თხილის გულისა და ნაჭუჭისგან და არ არის ერთგვაროვანი მასა) 34%-ს აღემატება და 38-40 %-ის ფარგლებში მერყეობს. იმის მიუხედავად, რომ მოსავლის აღება ძირითადად აგვისტო-სექტემბერში ხდება და ამ პერიოდში თხილი მაქსიმალურად ტენიანია, ივლისშიც ხშირად იღებენ მოსავალს, რომლის დროსაც თხილის ტენიანობა 40%-ის ფარგლებში მერყეობს. მოქმედი საგადასახადო ნორმებით ივლისის თვეში შრობის კოეფიციენტი არ არის გათვალისწინებული და 0-ს უტოლდება, ვინაიდან საგადასახადო სამსახური არ ითვალისწინებს ივლისში ახალი მოსავლის აღების შესაძლებლობას. შედეგად, თხილის გადამამუშავებელ კომპანიებს თხილის შრობა უწევთ და 38-40%-ის ფარგლებში ზარალობენ, რასაც საგადასახადო სამსახური არ აღიარებს და კომპანიებს დიდი პრობლემა უჩნდებათ. ამ პრობლემის მოგვარება კი მათ ძალეებს აღემატება, რადგან თხილის გადამამუშავებელი კომპანიები თხილის გადამამუშავების ტექნოლოგიურ პროცესს ვერ შეცვლიან.

სექტემბერში მოქმედი საგადასახადო ნორმა 8%-ია, რაც ასევე ყოველ-

მნიშვნელოვნად ზრდის, რაც პროდუქციის ღირებულებაზე პირდაპირ აისახება. შესაბამისად, ქართული კომპანიები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ვარდებიან, რადგან ამ ბიზნესში პროდუქციის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ფორმირდება.

მიგვაჩნია, რომ ამჟამად მოქმედი ნორმები, რომელიც მიღებულია თხილის დარგში დასაქმებულ და გამოცდილ სპეციალისტებთან შეუთანხმებლად, მოუქნელია, მონყვეტილია დარგში არსებულ პრაქტიკას. მიზანშეწონილია გაუქმდეს ამჟამად მოქმედი ნორმები და საგადასახადო სამსახურმა იმოქმედოს გადამამუშავებელი კომპანიების მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე, როგორც ეს ევროპის სხვა ქვეყნებში ხდება ან ბრძანებაში განხორციელდეს ცვლილებები.

ამას გარდა, თხილის გადამამუშავებელი კომპანიები გარჩეული თხილის გულსა და ნაჭუჭს ექსპორტისთვის საჭირო საქონლის პარტიის შევსების მიზნით ხშირად ერთმანეთისგან, ასევე მცირე საწარმოებისგან (დამამზადებლები) იძენენ. ვინაიდან თხილის გული და ნაჭუჭი სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციას არ წარმოადგენს, გადამამუშავებლების მიერ ერთმანეთისგან ან დამამზადებლებისგან გარჩეული გულისა და ნაჭუჭის მიწოდება დღგ-თი იბეგრება. შედეგად, გადამამუშავებელი კომპანიები იხდიან დღგ-ს, რაც მათ საბრუნავ საშუალებებს უმცირებს. ვინაიდან ისინი ორიენტირებული არიან ექსპორტზე, გადახდილი დღგ საგადასახადო აქტივში რჩება, ხოლო მისი დაბრუნება დროსთან და შესაბამის პროცედურებთანაა დაკავშირებული.

აღნიშნული საკითხის დარეგულირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახის თხილის გული და ნაჭუჭი ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან მსგავსად ყველისა და დამამუშავებული ხორცისა, რადგან ეს პროდუქცია საბოლოოდ გადის ექსპორტზე და საგადასახადო კანონმდებლობით გადახდილი დღგ დაბრუნებას ექვემდებარება. შესაბამისად, გათავისუფლების შემთხვევაში არანაირი უარყოფითი ფისკალური შედეგი (ბიუჯეტში გადასახადების შემცირება) არ დადგება.

თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაცია



ბით დადგენილი საწარმოო დანაკარგების ნორმებში არ არის გათვალისწინებული ამ მიმართულებით ბიზნესში არსებული ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ: საქართველოში თხილის მოსავლის აღება ძირითადად ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მიმდინარეობს. მოსავლის აღების მომენტში თხილის ტენიანობა 40%-ს შეადგენს. ვინაიდან მაღალი ტენიანობის თხილი ფუჭებადია, ტენიანობა სტანდარტს, 6%-ს (მაქსიმალური დასაშვები ზღვა-

გვარ საფუძველს მოკლებულია. ამის დასტურად შეიძლება შპს „აერ კომპანის“ მაგალითის მოყვანა. კერძოდ, კომპანიამ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ მოიწვია, რომლის დასკვნის თანახმად სექტემბერში შრობის დანაკარგი 22,92%-ს შეადგენდა.

აღნიშნული გარემოებები კომპანიების საგადასახადო ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს



ხეხილის დაცვა მავნებელ-დაავადებებისგან Syngenta-ს მიხედვით

კონტინენტური მეხილეობა ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წამყვანი და შემოსავლიანი დარგი. ქართლის და მესხეთის ხილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი არომატითა და გემური თვისებებით. ყველას გვახსოვს ვაშლის ისეთი ტრადიციული ჯიშები, როგორებიცაა: კეხურა, ივერია, ზამთრის ბანანი, შამპანური რენეტი, ყვითელი ბელფლორი, ქართული თუ გორული სინაპები, ზამთრის ოქროს პარმენი, ასტრახანული წითელი და სხვა. მათ ყოველთვის ჰქონდათ გასავალი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც. მაგრამ შეიცვალა არა მარტო დრო, არამედ საბჭოთა კავშირიც დაინგრა თავისი ჩამოყალიბებული სოციალისტური სტრუქტურებით და საბაზრო ურთიერთობებით. მსოფლიო სელექციით გამოყვანილი იქნა ხეხილის უხვმოსავლიანი და მაღალი გემური თვისებების მქონე ჯიშები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე, როგორებიცაა: გოლდენ დელიშესი, სტარ კრიმსონი, აიდარედი, გალა გოლდი, ფუჯი, გრანი სმიტი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშებმაც მოიკიდეს ფეხი ჩვენთან და მათი ფართობის არეალიც თანდათან იზრდება, ვინაიდან მათი რეალიზაცია ადვილია, ოღონდ ზედმიწევნით უნდა დავიცვათ მათი მოყვანის შესაბამისი აგროტექნიკური პირობებით.

ერთ-ერთი ასეთი პირობაა მცენარეთა დაცვა მავნებლებისგან, დაავადებებისა და სარეველა მცენარეებისაგან.

სწორედ ამ საკითხს მიექდუნა გორში გამართული სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შიდა ქართლის მეხილე ფერმერებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მცენარეთა დაცვის ახალი ტექნოლოგიებითა და სხვადასხვა მცენარეთა დაცვის საშუალებებით.

სემინარი გახსნა Agro Services AG (შვეიცარია) წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში ზურაბ ლოლაძემ.

დარბაზში შეკრებილ მეხილე ფერმერებს მანვე წარუდგინა სტუმრები: ოლგა ვობლოვა და სერგეი ბელოშაპკინი, სინგენტას მიმართულების მენეჯერი სათავო ოფისიდან.

ვაშლის ძირითადი სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებები სემინარის მონაწილეებს გააცნო ოლგა ვობლოვამ., როგორც კლასიკური მეხილეობის რეგიონებში მსოფლიო მასშტაბით, ასევე საქართველოში ძირითადი

დაავადებები: ქეცი, ნაცარი და ნაყოფის სიდამპლე. მათზეა ძირითადად ხეხილის დაავადებებთან ბრძოლის სისტემა აწყობილი, ხოლო მათ წინააღმდეგ ლონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში შეიძლება მოსავლის დანაკარგი 50-70% და მეტიც იყოს. ასევე ძლიერ მცირდება და უარესდება მოსავლის ხარისხი. ხშირად ნაყოფს ძლიერი დაზიანების შემთხვევაში არავითარი საბაზრო ღირებულება აღარ გააჩნია.

ქეცი აავადებს ვაშლის თითქმის ყველა ორგანოს ყვავილების გარდა. ფოთლის დაავადება კვირტის გაშლიდანვე იწყება, როგორც კი გამოჩნდება ფოთლის ფირფიტის ნაწილი. ამ დროს მასზე ხვდება დაავადების გამომწვევი სოკოს სპორა. ფოთლებს პირველად ემჩნევათ მოყვითალო ლაქა, რომელიც ხდება და იფარება მუქი წენგოსფერი, შემდგომ კი ხავერდოვანი ფიფქით. ეს ფიფქები შემდეგ ერთდებიან და მთელი ფოთლის ფართობს ფარავენ.

ყვავილების დაავადება იშვიათია, ოღონდ აავადებს გვირგვინის ფურცლებს.

განსაკუთრებით საზარალოა ნაყოფის დაავადება. დაავადების განვითარება ნასკვიდან იწყება. მკვახე ვაშლის დაავადების შემთხვევაში ნაყოფები აღარ იზრდება ან მათი ცალმხრივი ზრდა მიმდინარეობს და ე. წ. „გვერდელა“ ნაყოფები მიიღება, ხოლო საბოლოო ჯამში მცირდება მოსავალი და უარესდება პროდუქციის ხარისხი.

ვაშლის ნაცარი აავადებს ვაშლის თითქმის ყველა ორგანოს, კვირტებს, ყლორტებს, ყვავილებს და მწვანე ნაყოფებს. დასაწყისში ყლორტები იფარება თხელი, თეთრი ფიფქებით, შემდეგ კი მონაცრისფრო, სქელი ფიფქით, შემდეგ ლაქები ერთმანეთს უერთდება და ფოთლის ფირფიტის უმეტეს ნაწილს მთლიანად ფარავს, ფოთოლი მთავარი ძარღვის გარშემო იხვევა, საბოლოოდ კიდეებიდან იწყებს ხმოვას და ძირს ცვივა.

ნაცარი მკვახე ნაყოფებზეც გადადის. ფიფქი ნაყოფზე თხლადაა განვითარებული და ხშირად ძნელი შესამჩნევია. ნაყოფები ზრდასრულ ფორმას ვერ აღწევენ, საბოლოო ჯამში მცირდება მოსავალი.

ცალკეულ წლებში დიდი ზიანი მოაქვს ნაყოფების ლპობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს. დაავადებები იწყება დაზიანებული ნაყოფებიდან, რომელიც შეიძლება გამონვეული იყოს როგორც მექანიკური დაზიანებით, ისე სხვადასხვა მავნებლებით.

ქალბატონმა ოლგამ სემინარის მონაწილეებს გააცნო ამ დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატები, რომელთა გამოყენება ძალზედ ეფექტიანია და იცავს მცენარეს და ნაყოფს.

ვაშლის ქეცის და ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლა კვირტის გაშლიდან იწყება. ამ დროს გამოიყენება 0.02%-იანი პრეპარატი ხორუსი. გამოყენების ჯერადობაა 2-ჯერ ყვავილობამდე 8-10 დღის ინტერვალით. ამ დროს კლიმატური პირობები ძალზედ ცვალებადია, ხშირად ძალზედ ეცემა ტემპერატურა. აღასანიშნავია ის, რომ ხორუსის ეფექტიანობაზე ტემპერატურის რყევა გავლენას ვერ ახდენს.

ყვავილობაში, ყვავილობის დამთავრებისთანავე, ვიყენებ პრეპარატ სკორს 0,03%-იანი კონცენტრაციით. ამ პრეპარატს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ის ძალზედ პოპულარულია ჩვენს მეხილეებს შორის და ფართოდ გამოიყენება. ყვავილობის დამთავრების შემდეგ 2-3-ჯერ 10-12 დღის შუალედით ასევე ვიყენებ 0,025%-იან ფუნგიციდ ტასპას, ხოლო წამლობას ქეცის წინააღმდეგ ვამთავრებ კონტაქტური ფუნგიციდით, როგორცაა დითან მ45 0,2%-იანი კონცენტრაცია. ნაყოფების სიდამპლის წინააღმდეგ ვიყენებ პრეპარატ სვიტჩს - 0,1%-იანი კონცენტრაციით. მისი ხარჯვის ნორმაა 0,8-1ლ/ჰა.

ბატონმა სერგეი ბელოშაპკინმა სემინარის მონაწილეებს გააცნო ის მავნებლები (მწერები, ტკიპები), რომლებიც ზიანს აყენებენ ხეხილს ვეგეტაციის განმავლობაში, ასევე დაახასიათა ის პრეპარატები, რომლებიც რეკომენდებულია მათ წინააღმდეგ.

ხეხილის ფოთლებსა და ყლორტებს ძირითადად აზიანებს მავნებლები: ბუგრები, ფსილები, ტკიპები, ფარიანები და ცრუფარიანები, ჩრჩილები და სხვა, ხოლო თვით ნაყოფისათვის ყველაზე საშიში მავნებელია ვაშლის ნაყოფჭამია. ამ მავნებელს გორის რეგიონისათვის გააჩნია სამი თაობა. მათი მატლები იჭრებიან ნაყოფში, იკვებებიან შიგთავსით. მატლის შესასვლელი ხვრელიდან ვრცელდება ლპობის გამომწვევი მიკროორგანიზმები, რაც ძლიერ ამცირებს პროდუქციის ხარისხს და საბოლოო ჯამში მცირდება მოსავალი. რასაც ვიღებთ, ისიც



არასტანდარტულია და დაკარგული აქვს საბაზრო ღირებულება.

მავნებელი ტკიპების და ფსილების წინააღმდეგ გამოიყენება პრეპარატები: ვერტიმეკი - 1,0-1,5 ლ/ჰა, კარატე ზეონი - 0,4ლ/ჰა, აქტელიკი - 0,15ლ/ჰა.

ხოლო ვაშლის ნაყოფჭამიას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ შემდეგი პრეპარატები: ამპლიგო 0,2-0,3ლ/ჰა, აქტარა 0,12კგ/ჰა, პროკლეიმი 0,3-0,4კგ/ჰა და სხვა.

სარეველა ბალახების წინააღმდეგ ვიყენებთ ტოტალური მოქმედების ჰერბიციდ ურგან ფორტეს - 3-4ლ/ჰა მცენარეთა რიგთაშორისებში.

მიმდინარე წელს ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც გვაქვს - ვაშლის ქეცისა და ნაცრის წინააღმდეგ სახელმწიფო გამოცდას გადის პრეპარატი ემბრელია. ჩვენს ფერმერებს ამ პრეპარატის გამოყენება შეეძლება უკვე მომდევნო წლიდან.

სემინარის დროს გამოყენებული იქნა უამრავი ფოტო და ვიდეომასალა, სქემები, დიაგრამები და თითოეული პრეპარატის აღწერის დროს მათი შემადგენელი ნივთიერებების დანვრილებითი და საფუძვლიანი დახასიათება.

მარიამ ლეზანიძე

მეღვინეობა

ქართული მეღვინეობის განვითარების პერსპექტივა ტრადიციული მარნების აღორძინებაში



შესაძლოა, ამ მცირე წერილის სათაური ზოგიერთს ძალზე ამაგიციურად ანდა პრატიკულიადაც მოეჩვენოს, მაგრამ ეს ყოველივე მართლაც ასეა!

თავშივე გვინდა ვთქვათ, რომ ქარხნული მეღვინეობის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი გვაქვს, მაგრამ თუ ქვეყნის ბიუჯეტისათვის ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება და ეს ცალსახაა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული მეღვინეობის, როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურის განუყოფელი ნაწილის განვითარება პირდაპირ კავშირშია ტრადიციული, ოჯახური მარნების აღორძინების საქმესთან. საქართველოს სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტრომ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად სწორედ რომ სტრატეგიულ მიზნად უნდა დაისახოს რეგიონებში ადგილობრივი ვაზის ჯიშების გაშენება და მათ ბაზარზე მცირე საოჯახო მარნების მშენებლობის საკითხი. ამგვარი წამოწყება თავისთავად გამოიწვევს ღვინის ტურიზმის განვითარებასაც, რომელი საქმეც ჩვენში ეს – ესაა იწყება და იკიდებს ფეხს.

შესადარებლად ერთს ფაქტს მოვიტანოთ. როდესაც საქართველოში ოჯახურ მცირე მარნებში წარმოებული ბოთლის ღვინო ჯერ კიდევ არ იწარმოებოდა (საუბარია ახლო წარსულზე), მაშინ საქართველოს ქარხნებში წარმოებულ ღვინოს სვამდნენ და იცნობდნენ მხოლოდ იქ, სადაც ლაპარაკობდნენ რუსულად. ანუ ექსპორტირებული ქართული ღვინის აბსოლუტური უმრავლესობა რუსულენოვანი ქვეყნების საზღვრებს ვერ სცილდებოდა. იშვიათად ამგვარ ღვინოს სადღაც ყაზახეთში ან სხვაგან რაიმე ჯილდოსაც კი უწყალობებდნენ ხოლმე...

ხოლო იმ მითს, თითქოსდა ჩვენს ქარხნულ ღვინოებს მსოფლიო იცნობდა, მითებსა და ზღაპრებს შორის თავისი ღირსეული ადგილი ეკავა და უკავია დღესაც... თუმცა, დაიწყო თუ არა მცირე, ოჯახური მარნების აღორძინება, ქართული ქვევრის ღვინო მაშინვე გაიცნო მსოფლიომ. ამ ყოველივემ ისიც კი გამოიწვია, რომ ჩვენი უნიკალური ჭურჭლით – ქვევრით უცხოეთშიც დაინტერესდნენ და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. შედეგად ევროპის ქვეყნებსა თუ ამერიკაში უკვე არაერთი მარანი ფუნქციონირებს, რომლებიც საქართველოდან გატანილი ქვევრებითაა მოწყობილი. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტები და სტუმრები უპირატესად მცირე, ოჯახურ მარნებს სტუმრობენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ერთი ქვეყნიდან მეორეში ქარხნის სანახავად, როგორც წესი, არავინ ჩადის. ეს ყოველივე კი, ვფიქრობთ, ერთგვარი საფუძველი უნდა გახდეს იმისა, რომ ტრადიციული მეღვინეობისა და ასევე მექვევრეობის განვითარებას მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს.

წარმოგადგენიათ, თუ როგორი ყურადღების ქვეშ იქნებოდნენ მექვევრეები, მაგალითად საფრანგეთში, იტალიაში თუ სხვაგან? იქაური მთავრობა მათ, ალბათ, ძეგლებსაც კი დაუდგამდა... სამწუხაროა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ქართველ მექვევრეებს ადგილობრივი მთავრობის მხრიდან ხელის შეშლის მეტი არაფერი ხეირი არა აქვთ, თუმცა ეს იქით იყოს. არა გვგონია, რომ მაგალითად კახეთის მხარის გუბერნიისათვის რთული იყოს ამჟამად კახეთის მთელს რეგიონში შემორჩენილი სამად სამი მექვევრისათვის ნორმალური, თანამედროვე ქურების აშენება, ანდა მაგალითად თიხის დამახარისხებლის შექმნა თუ სხვ. იგივე შეიძლება ითქვას გურიაზეც და იმერეთზეც, სადაც, კახეთისა არ იყოს, თითზე ჩამოსათვლელი მექვევრე ოსტატები არიან დარჩენილნი. ზოგიერთ მექვევრეს საკუთარი ქურაც კი არ გააჩნია და სხვისი ქურით სარგებლობს... თუკი ეს დარგი ჩაკდება (და მგონი საქმე ნელ-ნელა მართლაც აქეთკენ მიდის), მაშინ თავისთავად ჩაკდება ქვევრში ღვინის დაყენების 8 000-წლიანი ტრადიციაც, რითაც ჩვენ ასე ვამაყობთ. როგორც ითქვა ქართული ტრადიციული მეღვინეობა და ასევე შინამრეწველობის ისეთი დარგი, როგორც მექვევრეობაა, ერთმანეთს მჭიდროდ ებმის და ამ ორი დარგის არსებობა ერთმანეთზე დამოკიდებული.

სხვადასხვა ადამიანების მხრიდან არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში აშენ-

ბულიყო ქვევრების ქარხანა. ეს იდეა არამართებულად გვეჩვენება, რადგან მექვევრეობა ყოველთვის იყო საქართველოს შინამრეწველობის დარგი და ამ დარგმა მაშინდანი შვილზე გადაცემით მოაღწია ჩვენამდე. ესე იგი ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, რომ „ოჯახური“ დარგია. მექვევრეობის ქარხნულმა მიმართულებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ამ ყოველივეზე და ამ მხრივ დაფიქრებაა საჭირო, რადგან თუ დღეს თითზე ჩამოსათვლელ მექვევრეებს კონკურენტად ქვევრების ქარხანა მოევილინათ, რომელსაც ისინი კონკურენციას ვერანაირად ვერ გაუწევენ, მაშინ შინამრეწველობის ეს დარგი გაქრება! თუმცა, მიზანი, რომ აშენდეს ქვევრის ქარხანა და დამზადდეს ბევრი ქვევრი, შესაძლოა, მიღწეულიც იქნას, მაგრამ ესაა ის ბიზნესინტერესი, რომელიც, როგორც ითქვა, შთანთქავს ქართულ ტრადიციულ მექვევრეობას.

ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის კულტურას მსოფლიოში ქვევრის ტრადიციულმა ღვინომ და ამ ღვინის დაყენების მეთოდმა გაუთქვა სახელი, რომელ ფაქტსაც მართებულად გამოყენება და გაგრძელება ესაჭიროება. იმას, რომ



ეს ყოველივე მართლაც უნიკალური შინაარსისაა, თვალნათლივს ხდის ისიც, რომ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ქართულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა და ამრიგად იგი მსოფლიო საგანძურად გადაიქცა.

რა თქმა უნდა, რუსეთის ბაზარიც დიდად საინტერესოა ჩვენთვის, მაგრამ ამ ბაზარზე დამკვიდრებას ქართული ღვინის სახელი ნამდვილად არ უნდა გადავყოლოთ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. რუსული ბაზრის საკითხებზე ილია ჭავჭავაძეც საუბრობდა თავის გენიალურ და ყველა დროისათვის აქტუალურ ნარკვევში „ღვინის ქართულად დაყენება“, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთის ბაზარზე დასამკვიდრებლად მართლი ღვინო უნდა დავაყენოთ და ასეთ შემთხვევაში არა თუ მხოლოდ დავიმკვიდრებთ რუსეთის ბაზარს, არამედ სხვა ქვეყნების ყალბ ღვინოებსაც განვდევნით იქიდანო. სამწუხაროდ, და განსაკუთრებით კი უახლოეს წარსულში, დიდი ილიასეული ეს შეგონება თითქმის უგულვებელყოფილი იყო. ასე განსჯავით, რომ იმავე ახლო წარსულში ყველაზე მართალ და ყველაზე კარგ ღვინოდ იმ ქარხნის ღვინო ითვლებოდა, რომლის მეპატრონეც ყველაზე ბევრ ფულს მიიტანდა „სამტრესტში“... მაგრამ მოდით, ისევ ტრადიციულ მეღვინეობას დავუბრუნდეთ.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში ისეთი დარგი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განვითარებასა და შენარჩუნებას, სახელმწიფო დოტაციაზეა აყვანილი და ამგვარი დარგის მიმდევრები ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობისაგან ხშირად გარკვეული დახმარებითაც სარგებლობენ. თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთი რამ მხოლოდ ნორმალურ ქვეყანაში ხდება...

ჩვენში, და უპირატესად კახეთში, ტრადიციული ახალი მარნების მშენებლობა თუ ძველების აღდგენა, მადლობა ღმერთს, ისედაც მიმდინარეობს, მაგრამ მიზეზთა გამო პროცესი შენელებულია. ასეთი მიზეზი არაერთია და სწორედ იმისათვის, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს და ამასთან არა მხოლოდ კახეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც განვითარდეს, საქმეს გარკვეული ხელშეწყობა ესაჭიროება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სულ რამდენიმე წელია, რაც ბოთლში პირველი ქვევრის ღვინო ჩამოისხა და შეალო ევროპის კარი და ამ თითზე ჩამოსათვლელ წლებში ქვევრის ღვინოზე და ქართულ უნიკალურ საღვინე ჭურჭელ – ქვევრზე მსოფლიო ალაპარაკდა. ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში ქვევრის ღვინო გაუთქვამს სახელს, რაც ქართული ღვინის კულტურის აღორძინების საწინდარი იქნება. საბედნიეროდ, ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ამიტომ ეს საკითხი ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს. როგორც ითქვა, რეგიონებში ქართული, ადგილობრივი ვაზის ჯიშების გაშენება და მათ ბაზაზე ტრადიციული მცირე მარნების აშენება უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს ამ დარგის მესვეურებისა. ამას ამჟამად კერძო პირები აკეთებენ ასე თუ ისე, მაგრამ საქმეს ეს არ შეეღობა. ეს საქმე საერთო ქართული საქმეა, რომელზე დახარჯული ყოველი წუთიც



და ყოველი თეთრიც მალევე გამოიღებს თავის კეთილ ნაყოფს. კვლავაც გავიმეორებთ, რომ ამ ყველაფერს თავისთავად მოჰყვება ღვინის ტურიზმის განვითარებაც, რასაც ჩვენი ქვეყნის ღვინის კულტურის განვითარების საქმეში უდავოდ ენიჭება გარკვეული როლი.

ერთსაც დავამატებთ, რომ ქართული ვაზის ჯიშების უნიკალური გენოფონდი; ქართული მარანი; ჩვენი ფენომენალური საღვინე ჭურჭელი – ქვევრი და ღვინის ქართულად დაყენების არქაული წესი ის სინამდვილეა, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე თავიანთი სისხლის ფასად მოიტანეს, რათა ეს ყოველივე ჩვენ ჩვენს შთამომავლობამდე მივიტანოთ და ჩავაბაროთ მას.

გიორგი ბარისაშვილი,
მცხეთა, 2014 წ.

მევენახეობა-მეღვინეობა



ოთარ ქურთიაშვილი

სოფელ კონდოლში თელავის ღვინის მარნის ვენახებში მეგზურობას ამავე კომპანიის მევენახეობის დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი ოთარ ქურთიაშვილი მიწევს.

– აქ ძირითადად საფერავი, რქანთელი, კახური მწვანე, ქისი, უცხოური ჯიშებიდან შარდონე, მალბეკი, მერლოა გაშენებული – მიხსნის ბატონი ოთარი.

– გლეხი ტრადიციულად ორიენტირებულია, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღოს და ჩააბაროს. ჩვენთვის

კახეთში საბაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს

ვიღრე ამინდები გაფუჭდებოდა კახეთში, განაგდა მოვასწარი ჩასვლა. საბაზაფხულო სამუშაოები გაბაზაფხული ტიპით მიმდინარეობს. როგორც ვაკვირდები, ამ შარბანდალთან შედარებით მეტ ვენახსა და ხესილის ბაღს ატყვია მიურნის ხალი, უფრო მეტ ფართობზეა გაშენებული ახალი ვენახი.

მოსავლის გარდა განმსაზღვრელია ხარისხიც, რადგან, თუ ყურძენი ხარისხიანი არ იქნება, ხარისხიანი ღვინო არ დადგება, ის სხვა ღვინოებთან შედარებით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ვერ იქნება და არ გაიყიდება. ამიტომ ვცდილობთ ყველაფერი იყოს ნორმის ფარგლებში, ვაზის დატვირთვა იქნება ეს თუ შემდეგში მოსავლის კონტროლი. ზოგჯერ მწვანე რთველსაც ვატარებთ, უშუალოდ ყურძნის სიმწიფის დაწყების წინ, რათა ვაზს ის ზედმეტი მტევნები მოვაცილოთ, რამაც შეიძლება მოსავლის ხარისხი გააუარესოს.

– ერთი ვაზის ოპტიმალური დატვირთვა რამდენია?

– ერთი ძირის დატვირთვა, მაგალითად საფერავისა და რქანთელისთვის კარგი ხარისხის ღვინო რომ დადგეს – 3-3,5 კილოგრამია, ჰექტარზე 7-8 ტონა ყურძენი უნდა მიიღოს.

გლეხები უმეტესად, ბუნებრივია, ამ ტექნოლოგიას არ იცავენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღონ და გაყიდონ.

– თქვენც ხომ იბარებთ მოსახლეობისგან ყურძენს, როგორ არჩევთ, ყურძენს, ლაბორატორიაში ამონებთ?

– შერჩევა ვიზუალურად უშუალოდ ვენახში ხდება – ნაკვეთი გაისინჯება. თუ ვაზი ძალიან დატვირთულია და ყურძენი უმნიშვარია, ეს შეიძლება გამონვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით: ვენახის დატვირთვით, მინერალური სასუქის, ძირითადად აზოტის ჭარბად გამოყენებით. ამ სასუქის სიჭარბე იწვევს ვეგეტაციის პერიოდის გაჭიანურებას, ყურძენი რჩება უმნიშვარი და არც საკმარისი ოდენობის შაქარს შეიცავს. ასეთ ყურძენს არ ვიღებთ.

სასუქის გამოყენებისას დოზების დაცვა აუცილებელია, რასაც გლეხი ვერ ახერხებს. მას არც საკმარისი ცოდნა აქვს. ჩვენ ამ ვენახებში ძირითადად ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს ვიყენებთ, რომელიც შემოდგომაზე ხვნის დროს შეგვაქვს. ეს პროცესი 4-5 ნელინადში ერთხელ ხორციელდება. ფოსფორი და კალიუმი გვიან მოძრავი ფორმებია და, აქედან გამომდინარე, გარკვეული დრო არის საჭირო, რომ ის მცენარისთვის შესათვისებელ ფორმამდე მცენარის ფესვებთან მივიდეს, ამიტომ ყოველ ნელინადს არ არის საჭირო სასუქის შეტანა. მეტიც, ვიდრე სასუქს შევიტანთ ლაბორატორიაში ვაზის ფოთოლს ვუკეთებთ ანალიზს, რის შედეგადაც დგინდება ფოსფორისა და კალიუმის საჭირო რაოდენობა და ამის მიხედვით შეგვაქვს საჭირო სასუქი ამა თუ იმ ნაკვეთში.

– ვაზის რიგები ერთის გამოტოვებითაა დამუშავებული, რატომ?

– ახლა ტარდება რიგთაშორისებში მოხნული ნიადაგის კულტივაცია-ფრეზირება. ხედავთ, ვენახი რიგგამოშვებით არის მოხნული, რასაც თავის მიზეზი აქვს. იმ რიგებში, რომელიც მოხნული არ არის წინა წელს, ნახევარი დოზა სასუქია შეტანილი., მეორე ნახევარი მომიჯნავე რიგში ამ წელს შეგვაქვს. ეს საშუალებას გვაძ-

ლევს ნებისმიერ დროს შევიდეთ ვენახში და ვიმუშაოთ. ამასთან, ერთდროულად ორივე მხრიდან დამუშავებამ ფესვების შეჭრის გამო შეიძლება ზოგიერთი ვაზის დაღუპვა გამოიწვიოს. ახლა კი ჩვენ მცენარეს ვაძლევთ საშუალებას ფესვებმა რეგენერაციის უნარი აღიდგინოს. ეს გარკვეული აგრონომიული მიდგომაა. ამის შემდეგ ეს ვენახი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში აღარ დამუშავდება. მხოლოდ რიგთაშორისები სეზონზე ორსამჯერ, როგორც კი ბალახი 20 სმ-ს ასცდება, გაითიბება. ნათიბი რჩება ადგილზე სასუქად. მსკრივებში ვაზთაშორისებში შედის ჰერბიციდი, ისიც ერთხელ-ორჯერ, თუ საჭიროა მესამედაც. ვაზის ძირები არ მუშავ-



დება, ჰერბიციდშეტანილი ნიადაგი გათოხნილივით ფხვიერია, აფუებულია.

– იცავს გლეხი ასეთ ტექნოლოგიებს, იცის საერთოდ თანამედრევე ტექნოლოგიებით ვაზის მოვლა?

– გლეხის ფსიქოლოგია მიდრეკილია იქითკენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გაიღოს. ზედმეტს არ დახარჯავს არც სასუქში და არც პესტიციდებში, თუ, რა თქმა უნდა, საგანგაშო ვითარება არ შეიქმნა.

ჩვენი კომპანია ძირითადად ევროპული ტიპის ღვინომასალებს ამზადებს, გვაქვს ცინულის ღვინო Ice Vine, რომელიც საგანგებოდ მზადდება. დაუკრეფავი რჩება რქანთელის და სხვა ჯიშის ვაზები, ვიდრე ტემპერატურა 7-8-დან მინუს 1°C-მდე დაეცემა და ხდება გაყინული ყურძნის გადამუშავება.

კახეთში ღვინის კომპანიების უმე-

ტესობას საკუთარი ვენახები აქვს. ეს ვენახები კერძო, წვრილი მინათმესაკუთრეთა ვენახებისგან თვალსაჩინოდ გამოირჩეულია. გლეხობა მაინც კონსერვატორულად უდგება საქმეს, უმეტესად სახსრები არ ყოფნის ვაზი იმ ტექნოლოგიით გააშენოს და მოუაროს, როგორც ამ კომპანიებმა.

კოოპერაცია, წვრილ მევენახე ფერმერთა გაერთიანება ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზა იქნება, მაგრამ გლეხებს კოოპერირების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ, თუმცა დროთა განმავლობაში ეს საკითხი დარეგულირდება, თუ სახელმწიფო კოოპერირების საქმეს საკმარის ძალისხმევას მოახმარს.

კახეთიდან უკანდაბრუნებულს გზაში თოვლი წამომენია. ზამთარმა კუდი მოიქნია. ამ დროს საქართველოში ასეთი ყინვები ჩვეულებრივი არ არის, მაგრამ ხდება. როგორც მოგვიანებით შევიტყვევ, ვაზს ყინვებმა ზიანი ვერ მიაყენა, მაგრამ ატმოსფეროს და ხეხილის ბაღები სერიოზულად დააზიანა, გამოტანილი ყვავილი და კვირტი მთლიანად დააყრევინა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის უქონლობის გამოის ფერმერები, ვინც უამინდობამ დააზარალა, ახლა სახელმწიფოს იმედად აირან, რომ როგორმე ზარალი შეუმსუბუქდება. არადა, გამართული სადაზღვევო სისტემის არსებობის პირობებში მათ ასეთი პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში შემწეობის სათხოვნელად ხელგანწეილი ყოფნა არავის წინაშე მოუნევდათ.

ნატა მაჭარაშვილი

მაცვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

დასან. იხ. № 12, 2013 წ.; № 1,2,3, 2014 წ.

მაცვლის სათბურში წარმოება

სათბურში მაცვლის გაშენება (გათბობის სისტემის გარეშე პოლიეთილენით დაფარული მაღალი გვირაბები) მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო ხშირად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უზრუნველყოფენ ყინვისაგან გარკვეულწილად დაცვას, მათი ძირითადი დანიშნულებაა რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ტემპერატურის რამდენიმე გრადუსით გაზრდა. ტემპერატურის კონტროლის გარდა სათბური უზრუნველყოფს ქარისა და წვიმისგან დაცვას, ნიადაგის გათბობას და ზოგიერთ შემთხვევაში მწერების, დაავადებების და მტაცებლების, მაგ., მღრღნელების და ფრინველის კონტროლს.

სათბურების გამოყენებით შესაძლებელია მცენარის უფრო ეფექტური ზრდის მიღწევა. შედეგად გვექნება



სურათი 24. მაღალი გვირაბული ტიპის სათბურში მაცვლის წარმოება მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება.

მოსავლის ზრდა და მაღალი ხარისხის ნაყოფი (სურათი 24). გარდა ამისა, შესაძლებელია ნაყოფის სიდამპლის მნიშვნელოვნად შემცირება.

სათბურების გამოყენების დადებითი შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ წლებში, როდესაც მოსავლის ალების პერიოდში ხშირი წვიმიანობაა. საქართველოში მაცვლის სათბურებში მოყვანის კიდევ ერთი ძირითადი უპირატესობაა მოსავლის სეზონის გახანგრძლივება.

Floricanე ტიპის ჯიშების მოსავლის აღება შეიძლება 3 კვირამდე პერიოდით ადრე, ხოლო შემოდგომაზე პრიმოცანე ტიპის ჯიშების მოსავლის აღება შეიძლება გაგრძელდეს დაახლოებით ერთი თვით (ანუ ნოემბრამდე). ეს უზრუნველყოფს მაცვლის რეალიზაციის პერიოდის ხანგრძლივობის მნიშვნელოვან ზრდას. გარდა ამისა, შესაძლებელია საბაზრო ფასის სერიოზული გაუმჯობესება მოსავლის ალების პერიოდის გახანგრძლივების გამო.

მაღალგვირაბული ტიპის სათბურებში მაცვლის წარმოება ხელს უწყობს მოსავლიანობის და ხილის ხარისხის გაზრდა-გაუმჯობესებას ღია გრუნტში მოყვანასთან შედარებით.

მაღალ გვირაბში წარმოება შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს როდესაც არსებობს კარგი გასაღების ბაზარი მაღალხარისხოვანი ხილისთვის, რომელიც მოყვანილია პესტიციდების მცირე დოზებით ან პესტიციდების გარეშე, და აგრეთვე ხელსაყრელია, როდესაც საჭიროა უფრო ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე მაცვლის უფრო სრულყოფილი მოსავლის მისაღებად. მაღალ გვირაბებში მაცვლის მოყვანა შეიძლება ნვეთოვანი სარწყავი სისტემით ან კონტინერებში ნიადაგის სუბსტრატის სახით გამოყენებით.

მაღალი გვირაბები საზოგადოდ ლითონის რკალებისგან აგებული კონსტრუქციებია; ლითონის რკალები მიმაგრებულია ლითონის ბოძებზე, რომლებიც ნიადაგში 60-სმ-ზეა ჩასმული. ისინი დაფარულია ერთი ფენა მმ სასათბურე ხარისხის პოლიეთილენის პარკით და განიავება ხდება ხელით ყოველ დღით გაზაფხულზე პარკის გვერდებზე აწვეით და შებინდებისას – ჩამოშვებით. მუდმივი

გათბობის სისტემა არ არის, თუმცა სასურველია იყოს სათადარიგო პორტატიული გათბობის ხელსაწყო მოულოდნელი ყინვისგან დასაცავად. შესაძლებელია მაღალი გვირაბის გვერდების აწვევა, რათა გვირაბში ადვილად შეეტიოს მცირე დასამუშავებელი და შესასხური მოწყობილობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მაღალია მოტენციური უპირატესობები, არსებობს რამდენიმე უარყოფითი მხარე, რომელიც არ ახასიათებს ღია გრუნტში მოყვანას. ნაცარი ესაა დაავადება, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს მშრალი ფოთლები და მაღალი ტენიანობა. მაღალ გვირაბებში არსებობს ეს ორივე პირობა. შესაძლებლობისამებრ გვირაბში ჰაერის მოძრაობის უზრუნველყოფა შეამცირებს დაავადების განვითარების ალბათობას. აბლაბუდიანი ტკიპა, როგორც წესი, მაცვლის მაღალ გვირაბებში წარმოებისას ყველაზე საშიში მავნებელია. მათთან ბრძოლა შესაძლებელია მტაცებელი ტკიპის პერსილისის გამოყენებით. დაცულ სტრუქტურებში შეიძლება სწრაფად გაიზარდოს ტკიპების რაოდენობა. ამდენად, მტაცებელი ტკიპების გამოყენება უნდა მოხდეს აბლაბუდა ტკიპას შემჩნევიდან მოკლე ხანში. ამას გარდა, მაღალ გვირაბებში შეიძლება რთული იყოს ყვავილების დამტვერვა, ვინაიდან აქ თავისუფლად ვერ აღწევს ფუტკარი. მაღალი გვირაბული ტიპის სათბურებში სკების დადგმით გადაიჭრება დამტვერვის პრობლემა.

მავნებლებთან ბრძოლა

მაცვლის ძირითადი მავნებლებია სარველები, მწერები და ტკიპები, დაავადებები და ნემატოდები. მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანების სიმპტომების ცოდნა და ნარგავების ხშირი მონიტორინგი მნიშვნელოვანია პლანტაციის სერიოზული დაზიანების თავიდან აცილებისთვის. აუცილებელია მავნებლების პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია და შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების გატარება, რათა მივალნიოთ ხილის დამაკმაყოფილებლად მოყვანას და



სურათი 25. მაცვლის ბუჩქების რიგი უნდა იყოს 90-100 სმ სიგანის და დაახლოებით 2 მეტრი სიმაღლის.

მოგებას. ხშირად არსებობს მავნებლის დათრგუნვის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის პრევენცია სათანადო სანიტარიული ზომების გატარებით და ბიოლოგიური და ქიმიური კონტროლი. მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური პროგრამები მოიცავს შესაძლო პრობლემების გათვალისწინებას, ხშირ მონიტორინგს და საჭიროებისამებრ სათანადო მცენარეთა დამცავი საშუალებების დროულად გამოყენებას.

სარეველებთან ბრძოლა

სარეველები კონკურენციას უწევენ მაცვლის ნარგავებს სინათლის, წყლის და ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების მიღებაში. გარდა ამისა, სარეველები შეიძლება წარმოადგენდნენ მწერების და დაავადებების მასპინძლებს. დარგვამდე სარეველებთან ბრძოლა მნიშვნელოვანია და უნდა დაიწყოს მაცვლის დარგვამდე კარგა ხნით ადრე. გაცილებით იოლია მრავალწლიანი სარეველების დარგვამდე აღმოფხვრა, ვიდრე მაცვლის ნარგავების ჩამოყალიბების შემდეგ. რთულად საკონტროლო მრავალწლიანი სარეველების აღმოფხვრა შესაძლებელია სისტემური ჰერბიციდით – glyphosate-ით (Round-Up). ველური ყოლო და მაცვალი წარმოადგენს დაავადების ინოკულანტის წყაროს და ასევე სრულად უნდა აღმოფხვრას ნაკვეთიდან და მიმდებარე ადგილებიდან დარგვამდე.

დარგვის შემდეგ სარეველების კონტროლი უნდა ჩატარდეს დარგვიდან რაც შეიძლება მალე. ნარგავებში სარეველების ზრდა გაზრდის დაავადების პრობლემებს, მაცვლის ნარგავებში ჰაერის მოძრაობის შემცირებით, შესაბამისად უფრო მაღალი ტენიანობის შენარჩუნებით ფოთლებსა და მთავარ ღეროებში. ამას გარდა, ზოგიერ-

თი დაავადების გამომწვევი ორგანიზმი (ვერტიცილიური ჭკნობის სპორები და ვირუსული დაავადებები) შეიძლება დაგროვდეს ნაკვეთზე არსებულ ფართოფოთლოვან სარეველებში. რიგიდან უნდა მოცილდეს ყველა სარეველა. საუკეთესოა, თუ 1-მეტრიანი რიგის სიგანე სარეველებისგან თავისუფალი იქნება. რიგში არსებული სარეველების მოცილება ჩვეულებრივ ხდება ხელით ამოგლეჯით ან თოხით.

რიგში სარეველების კონტროლი შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ჰერბიციდის გამოყენებით. გამოსაყენებელი ჰერბიციდი დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, სარეველების სახეობებზე, წელიწადის დროზე და ნარგავის მსხმოიარობის ფაქტორზე. თუ სათანადო ჰერბიციდის გამოყენება არ მოხდა სწორ დროს, ამან შეიძლება ნარგავების სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს მაცვლის ჰერბიციდი ნაპროპამიდე (Devrinol) არის ეფექტური და წვრილფოთლოვანი საშუალება სარეველების და ფართოფოთლოვანი სარეველების წინააღმდეგ. ჰერბიციდი ნაპროპამიდე (Devrinol) ეფექტური და უსაფრთხო აღმოცენებამდე ქიმიური პრეპარატია, რომელიც ეფექტურია მრავალი ერთწლიანი წვრილფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი სარეველებისთვის, რომლებიც მაცვლის ნარგავებში ჩნდება. სარეველებთან ბრძოლისთვის სხვა ეფექტური აღმოცენებამდე ჰერბიციდებია dichlobenil (Casoron), simazine (Princep), oryzalin (Surflan), და flumioxazin (Chateau). ეს ჰერბიციდები უფრო ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფენ სარეველების კონტროლს, თუმცა ისინი უნდა შეერიოს ნიადაგში. უკვე ამოსული ბალახოვანი სარეველები მაცვლის ნარგავებში შეიძლება ვაკონტროლოთ შემდეგი ჰერბიციდებით: sethoxydim (Poast) ან fluazifop (Fusilade). ორივე ჰერბიციდი სელექციურია და არ დაზიანებს მაცვლის ნარგავებს.

მაცვლის რიგებს შორის ფართობი უნდა იყოს სარეველებისგან თავისუფალი დაპირული კულტივაციის გზით ან დაბალი ბალახის

საფარის საშუალებით (სურათი 25). კულტივაციის შემთხვევაში უნდა მოერიდოთ რიგებს შორის ღრმად მოხვნას, რათა არ დაზიანდეს ფესვები და არ გაიზარდოს დაზიანებული ფესვის ქსოვილის არამდგრადობა დაავადებებისადმი.

მაცვლის ფესვები არ არის ღრმა და რიგთაშორისები არ უნდა დამუშავდეს 1 სმ-ზე ღრმად, რათა არ მოხდეს მაცვლის ფართო ფესვთა სისტემის დაზიანება.

რიგთაშორისებში შეიძლება ჩამოყალიბდეს მუდმივი კორდი, რათა ტერიტორიაზე არ გავრცელდეს სარეველები, თუ არ გამოიყენება კულტივაცია.

რიგთაშორის მანძილი რეგულარულად უნდა მოითბოს, რათა ნიადაგის საფარის დაბალი დონე შენარჩუნდეს და აღმოიფხვრას სარეველების თესლის წარმოქმნა.

ნიადაგის საფარი რიგთაშორისები უნდა ჩამოყალიბდეს რიგებს შორის ძლიერ დაქანებულ ადგილებში ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად. მაცვალთან ნიადაგის საფარი მცენარეების კონკურენციის შედეგების შესამცირებლად ნარგავების რიგში უნდა შენარჩუნდეს ნარგავებისგან თავისუფალი 1-მეტრიანი ზოლი.

რიგის სარეველებისგან დაცვის კიდევ ერთი გზაა მცენარის გარშემო მულჩის ქსოვილის ან სხვა სახის მულჩის გამოყენება. ეს მიზანშეწონილია მაცვლის ჯიშებისთვის, რომლებიც მთავარი ნარგავის ვარჯიდან გამოიღებენ არა ფესვთა სისტემიდან (სურათი 26). ყლორტებს. მაცვლის რიგში სარეველების ზრდის შემცირება შეიძლება სქელი პოლიეთილენის მულჩის გამოყენებით.

გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში.



სურათი 26. მაცვლის რიგში სარეველების ზრდის შემცირება შეიძლება სქელი პოლიეთილენის მულჩის გამოყენებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ტექნიკის რასიონალური რაოდენობისა და ნომენკლატურის განსაზღვრა



საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ მისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით გზამკვლევი მომარაგება შეწყდა, მნიშვნელოვნად შემცირდა საექსპლუატაციოდ ვარგისი ტექნიკა, რასაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება მოჰყვა.

მოვლა-მოყვანის რაციონალური მანქანური ტექნოლოგია და ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად საჭირო ენერგეტიკული მოთხოვნები. ამჟამად ძირითადად შემოტანილია ტრაქტორები მსგავსი სიმძლავრითი მონაცემებითა და თანაბარი წვეთი შესაძლებლობებით, რაც ტექნიკის არასრულფასოვან გამოყენებას განაპირობებს. მძლავრი ტრაქტორები მცირე ენერგოტევადობის ოპერაციათა შესასრულებლად გამოიყენება, რაც იწვევს შესრულებულ ოპერაციათა გაძვირებას, საბოლოოდ პროდუქციის თვითღირებულების ზრდას და კონკურენტუნარიანობის კლებას. ტრაქტორების ოპერაციის ენერგოტევადობის გაუთვალისწინებლად გამოყენება იწვევს მისი შესრულების თანაბრობის დარღვევას ტრაქტორის სიმძლავრის ნაკლებობის შემთხვევაში და სანვავის ხარჯვის ზრდას ჭარბი სიმძლავრის პირობებში. ორივე შემთხვევა უარყოფითია, ამიტომ ფრიად აქტუალურია ჩამოყალიბდეს ენერგეტიკული საშუალებებისა და შესაბამისი შლეიფის ნომენკლატურული და რაოდენობრივი გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებს სავარგულების ფიზიკურ მდგომარეობას, საექსპლუატაციო ვარგისიანობას, პროცესის შესრულების ტექნოლოგიასა და ენერგოტევადობას, ტრაქტორის სიმძლავრით და საექსპლუატაციო მახასიათებლებს. აღნიშნული მაჩვენებლების ერთიან სისტემაში შეთანხმების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, მის მიხედვით ტრაქტორებისა და შესაბამისი შლეიფის ნომენკლატურისა და რაოდენობის გაანგარიშება უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ პროცესების მაღალხარისხოვნად შესრულებას მინიმალური დანახარჯებით. ამიტომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ტექნიკის აუცილებელი რაოდენობისა და ნომენკლატურის დადგენის მეთოდოლოგიის მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავება.

შედარებით მაღალი სამუშაო ვარგისიანობა შეინარჩუნა მძლავრმა ტექნიკამ, მაგრამ საქართველოს პირობებში, სადაც ფართობების უმრავლესობა მცირეკონტურიანია, მათი გამოყენება შეუძლებელია ან გამოიყენება გაუარესებული ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის ისედაც მაღალ თვითღირებულებას. მეურნეობრიობის ახალი ფორმების შემოღებამ ტექნიკის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ნომენკლატურული განახლებაც მოითხოვა. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მინის სავარგულების შესაბამისი მანქანა-ტრაქტორთა პარკის ნომენკლატურული გადახალისება და ახალი ტექნიკით შევსებაა საჭირო. საქართველოს ხელისუფლებამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გარკვეული სამუშაო ჩაატარა, შეიძინა სხვადასხვა მოდიფიკაციის ტრაქტორები, მაგრამ ეს ტრაქტორები ძირითადად დაკომპლექტებულია გუთნებით და იშვიათად სათესებით. მათი რაოდენობა ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებებს. ამას ემატება, ისიც გაუგებრობით, რაც მოჰყვა ტრაქტორების შექმნაზე აგორებულ გახმაურებულ სკანდალს. ასეთი გაუგებრობების გამოსარიცხად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა სავლე-საექსპლუატაციო გამოცდების ჩატარება, რითაც დაზუსტდება შესაძენი მექანიზმების ტექნიკური, ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, საექსპლუატაციო, ეკონომიკური და ერგონომიკული მახასიათებლები.

ტექნიკის შექმნამდე გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის სპეციფიკა, დარაიონებული კულტურები, მათი

მეთოდოლოგია საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ენერგეტიკული საშუალებებისა და შესაბამისი შლეიფის ნომენკლატურა და რაციონალური რაოდენობა; არსებული ტექნიკის რაოდენობისა და ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დავადგინოთ შესაძენი ენერგეტიკული საშუალებებისა და შესაბამისი შლეიფის საჭირო რაოდენობა და ნომენკლატურა, დავადგინოთ სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების ოპტიმალური შემადგენლობა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, როგორც კერძო ფერმერული მეურნეობის, ისე რეგიონისა და მთე-

ლი ქვეყნისთვის, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესების ხარისხოვნად შესრულებას მაღალი მწარმოებლურობით და მინიმალური დანახარჯებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შიდა ბაზრის მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

ქვეყანაში 1990 წლისათვის სახნავი მიწები დაახლოებით 870 ათას ჰექტარს შეადგენდა, რომელიც ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე იყო გადანაწილებული.

ერთწლოვან კულტურებზე მოდის 690 ათას ჰა-ზე მეტი. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება საკუთარი წარმოების ხორბალსა და სიმინდზე. ამ მიზეზით ხეხილითა და ჩაით დაკავებული ფართობების გარკვეული ნაწილი დაიკავეს ხორბლისა და სიმინდის კულტურებმა. უკანასკნელი წლების განმავლობაში კი ტექნიკის საჭირო რაოდენობის არარსებობის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა დაუმუშავებული ფართობი. დაუმუშავებელი ფართობების ზრდას აგრეთვე ხელს უწყობს ნავთობპროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რის გამოც საჭირო საწვავის ღირებულება აღემატება ფერმერის ფინანსურ შესაძლებლობებს. ასეთივე შედეგი აქვს ტრაქტორის ეფექტური სიმძლავრის შეუსაბამობას ტექნოლოგიური პროცესის შესრულებაზე ენერჯის საჭირო ხარჯთან. ტრაქტორის სიმძლავრის როგორც სიჭარბის, ისე ნაკლებობის შემთხვევაში უარესდება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და აგრეგატის საექსპლუატაციო მაჩვენებლები, იზრდება საწვავის ხარჯი და წარმოებული პროდუქციის ღირებულება.

ფართობების გამოყენების მონაცემები დღეისათვის მნიშვნელოვნად შეცვლილია, ამიტომ მას გადახალისება სჭირდება. აქედან გამომდინარე, კვლევის სტრატეგია პირველ ეტაპზე უნდა ითვალისწინებდეს ფართობების მონაცემების დაზუსტებას რეგიონების მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ სოფლად მიმდინარე მოვლენებს, დაზუსტებას საჭიროებს არა მარტო რეგიონის, არამედ რაიონებისა და მეურნეობის მონაცემებიც.

დასაზუსტებელია საკვლევი ობიექტების პარამეტრებიც. აქ შეიძლება შეგვხვდეს შეფერხება, ვინაიდან ადგილებზე აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ვერ მოხერხდეს მონაცემების დაზუსტება. ამ პრობლემის გადასაჭრელად მონაცემები უნდა შეგროვდეს უშუალოდ ფერმერებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით. მოძიებული მასალა შეიტანება კომპიუტერში და კულტურების მიხედვით დამუშავებული მოვლა-მოყვანისა და აღების რაციონალური მანქანური ტექნოლოგიების ოპერაციებთან ერთად განლაგდება საინფორმაციო მასივებში.

შემდგომ ეტაპზე საჭიროა შეირჩეს პარამეტრიც, რომელიც ყოველ ფიზიკურ ოპერაციას, მიუხედავად მისი ენერგოტევადობისა და გამოყენებული წევის საშუალებისა, გადაიყვანს ერთ სისტემაში.

არსებობს მრავალი მეთოდი, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ორი, დაყვანილი საექსპლუატაციო დანახარჯების და დაყვანილი ენერგოდანახარჯების მეთოდი, მაგრამ პირველი უშუალო კავშირშია გამოყენებული მასალების ღირებულებასა და მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან, რაც განსაზღვრავს მის კავშირს საბაზრო კონიუნქტურასთან და ინფლაციის კოეფიციენტთან. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენებით ერთიანი, უცვლელი სისტემის მიღება შეუძლებელია. სისტე-

მის დასადგენად საჭიროა შევჩერდეთ მეორეზე - ენერგოდანახარჯების მეთოდზე, რომელიც დამოკიდებული არ არის საბაზრო ღირებულების ცვლილებებზე.

მოძიებული საინფორმაციო მასალების კომპიუტერში განთავსებისათვის საინფორმაციო მასივების სტრუქტურის შემუშავება უნდა მოხდეს Oracle, Access, Excel-ის და სხვა მონაცემთა ბაზების გამოყენებით და მათი შევსება პერიოდულად საინფორმაციო მასალით.

ერთიანი დაყვანილი ენერგოდანახარჯების განსაზღვრისა და პარამეტრების ოპტიმიზაციისათვის უნდა მოხდეს სათანადო მეთოდიკის დამუშავება ნრფივი პროგრამირებისა და სხვა მათემატიკური ხერხების გამოყენებით, აგრეთვე მეთოდის ალგორითმისა და ბლოკ-სქემის დამუშავება.

საჭიროა დაყვანილი ენერგოდანახარჯების საანგარიშო მათემატიკური ფუნქციის შედგენა და მოქმედი შემავალი პარამეტრების დაზუსტება; კომპიუტერული პროგრამის დამუშავება გაანგარიშებათა სრული ციკლის ჩატარებისა და ფუნქციის ოპტიმიზაცია ამოხსნისათვის, რის შედეგადაც დადგინდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ენერგეტიკულ საშუალებათა და მანქანა-იარაღების შლიეფის ნომენკლატურა და რაციონალური რაოდენობა საწარმოებელი კულტურის, მიწის ფართობის, ნიადაგის მდგომარეობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ფერმერების, რეგიონებისა და საქართველოს დონეზე.

ასეთი მეთოდიკით შესაძლებელი იქნება ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა არა მარტო ცალკეული ფერმერული მეურნეობების, რეგიონებისა და ქვეყნისათვის,



ასევე მისი გამოყენება სამშენებლო წარმოებაში, საგზაო სტრუქტურების მოწყობასა და საერთოდ ყველა სფეროში, სადაც გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ნომენკლატურა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ტექნოლოგიასა და მოცულობაზე. ასეთი მეთოდიკის შესაბამისად გაანგარიშებული ტექნიკის რაოდენობა და ნომენკლატურა შეიძლება საფუძვლად დაედოს მთავრობის ტექნიკურ პოლიტიკას სოფლად.

ოზარ ხაღია,
*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე,
ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

ბრიგოლ ჩიტაია,
აკადემიური დოქტორი

გივი არსაგვილი,
აკადემიური დოქტორი



ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს აკოლოგიური მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსს ქრისტო კახნიაშვილს დაბადებიდან 65 წელი უსრულდება

ქრისტო კახნიაშვილი ცხინვალის რაიონის სოფელ კეხეში 1949 წლის 24 აპრილს დაიბადა. 1966 წელს მედალზე დაამთავრა კეხვის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა, რომელიც 1971 წელს დაამთავრა და როგორც წარჩინებული სპეციალისტი, სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად ინსტიტუტში დატოვეს. 1971-72 წწ. ქრისტო კახნიაშვილი სტაჟირების გასავლელად მოსკოვის ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში მიავლინეს.

1979 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურის დასრულების შემდეგ, მან წარმატებით დაიცვა აგროეკოლოგიის პრობლემებზე (პესტიციდების ბიოქიმია) ჯერ ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1995 წელს იგი საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის სრულუფლებიან წევრად აირჩიეს.

1989 წელს ქრისტო კახნიაშვილის თაოსნობით ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში აგროეკოლოგიის ლაბორატორია დააარსა, რომელსაც 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1991 წელს მან კოლეგებთან ერთად დააფუძნა აგროეკოლოგიის სამეცნიერო საწარმოო ცენტრი. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 2 მონოგრაფია, რამდენიმე საავტორო გამოგონება და ბროშურა (სახელმძღვანელო აგროკონსულტირებისათვის).

1995 წელს ქრისტო კახნიაშვილი სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ბიოქიმიის ინსტიტუტში დარეგისტრირებულ სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელობდა.

2009 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსალტგრუპი“, რომლის ძირითადი საქმიანობა აგრარულ საკითხებზე მინათმოსარგებლეთა კონსულტირება გახლდათ.

2009 წლიდან დღემდე შპს „აგროვიტას“ ინოვაციური პროექტების მენეჯერია. პარტნიორებთან ერთად შექმნა და დაიწყო ახალი ტიპის, ეკოლოგიურად სუფთა ჰუმინურ-ორგანული სასუქის წარმოება. ტექნოლოგია და საწარმოო მოდელი დაპატენტებულია და მიღებული აქვს საავტორო უფლება. ბოლო წლებში ეს სასუქი ათეული ტონობით იწარმოება და საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოიხმარება.

ქრისტო კახნიაშვილს დიდი და წარმატებული ოჯახი აქვს, ჰყავს ოთხი შვილი და, როგორც თვითონ ამბობს, ჯერჯერობით 5 შვილიშვილი.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ ბატონ ქრისტო კახნიაშვილს ულოცავს 65 წლის იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ შემოქმედებით საქმიანობასა და ოჯახში ბედნიერებას.



ნანობაქნოლოგიები სოფლის მეურნეობაში ეფექტურობის ამაღლების აუცილებელი პირობაა

წარმატებები სოფლის მეურნეობაში წარმოუდგენელია პროგრესული, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე. ბოლო პერიოდში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს აგროტექნოლოგიების სრულყოფა მოსავლიანობის ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების (გაჯანსაღების) და თვითღირებულების შემცირების მიზნით. აგრონანობა ტექნოლოგიების გზაზე ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა ბუნებრივი, ორგანული ტიპის სასუქების ფართოდ გამოყენება, რომლებიც თანამედროვე ნანობა ტექნოლოგიების საფუძველზე ინარმოება და მაღალი ბიო და ფიზიოლოგიური აქტივობებით ხასიათდებიან. ბუნებრივი ორგანულ-მინერალური სასუქების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებაა აბსოლუტური უსაფრთხოება ადამიანის და ყველა ცოცხალი ორგანიზმის მიმართ. ისინი, განსხვავებით სინთეზური მინერალური სასუქებისაგან, არატოქსიკურია, არ ხასიათდებიან გარემოში აკუმულირების თვისებებით.

თანამედროვე ორგანულ-მინერალური სასუქების სოფლის მეურნეობაში დანერგვის მისია შემდეგში მდგომარეობს:

1. ნიადაგის ბუნებრივი პოტენციალის აღდგენა და დაბინძურებული ფართობების რეკულტივაცია – შედეგად მიიღება ნოყიერი, ჯანმრთელი ნიადაგი;

2. ეკოლოგიურად სუფთა (უსაფრთხო) ს/ს პროდუქციის წარმოება – ჯანმრთელი მოსავალი;

3. საბოლოო შედეგი – ჯანმრთელი მომხმარებელი.

საქართველოში ამ მიმართულებით კარგ მაგალითს წარმოადგენს შპს „აგროვიტას“ მიერ წარმოებული ჰუმინური ორგანულ-მინერალური სასუქი, საფირმო სახელწოდებით „აგროვიტა“. სასუქმა გაიარა მრავალწლიანი გამოცდა საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში, მცენარეთა ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით.

„აგროვიტას“ მიღების ტექნოლოგიის ინოვაციურობა (სამეცნიერო სიახლე): სასუქი ინარმოება ბუნებრივი ჰუმინების შემცველი ნედლეულიდან, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიის და ტექნიკური გადამამუშავების საფუძველზე (ულტრაბგერითი კავიტაციის პრინციპი). ავტორთა მიერ შემუშავებულია ახალი ტიპის ჰუმინური ორგანული თხევადი სასუქის მიღების ტექნოლოგია ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე (ტორფი, საპროპელი, ლეონარდიტი). დადგენილია ნედლეულში ჰუმინების და სხვა საკვები ელემენტების შემცველობები (N,P,K და სხვა საკვები მიკროელემენტები). გამოვლენილია მაღალი პარამეტრების ნედლეული და შერჩეულია მათი გადამამუშავების ტექნოლოგია. ტორფის ბაზაზე შემუშავებულია და

დაპატენტებულია ორგანულ-მინერალური სასუქის მიღების ტექნოლოგია (პატენტი-3977, 29.11.2005).

სურათი: ულტრაბგერითი კავიტაციის აპარატი.

სურათი: „აგროვიტას“ სასაქონლო პროდუქტის ნიმუში.

ტექნოლოგიური სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებულია ჰუმინების შემცველ ნედლეულში არსებული ბუნებრივი, მაღალმოლეკულური, რთული მოლეკულების (ჰუმინის და ფულვომჟავები, პოლისაქარიდები, პეპტიდები და სხვა) ექსტრაქციის და დისპერსიის ისეთი ხარისხი, რომ ისინი ადვილად შესათვისებელი ხდება მცენარეული უჯრედის მიერ.

რეკომენდაციები მოხმარების შესახებ:

1. ფესვიდან კვება – გაზავება 1:100-თან (ერთი ლიტრი იხსნება 100 ლ. წყალში);

2. ფოთლოვანი კვება – გაზავება 1:200-თან (ერთი ლიტრი იხსნება 200 ლ. წყალში);

3. ჩითილების, ნერგების, ბოლქვების და ღეროების ჩალბობა 3-5 სთ. – 100მლ/10 ლ. წყალში;



4. თესლის დამუშავება 10-20 სთ. -10 მლ. ერთ ლიტრ წყალში.

რეკომენდებულია ვეგეტაციის განმავლობაში 3-4 ჯერადი გამოყენება.

უზრუნველყოფს მოსავლიანობის ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას და მომნიფების დაჩქარებას. ხელს უწყობს მცენარის ზრდა-განვითარებას და აძლიერებს იმუნიტეტს.

დრისტო კახინაშვილი,

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

შპს „აგროვიტას“ ინოვაციური პროექტების მენეჯერი




AgroVitae



ჰუმინურ-ორგანული სასუქი

ჰუმინური სასუქი "აგროვიტა" არის უნივერსალური, ფართო მოქმედების მქონე პრეპარატი. იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰუმატებისაგან, დაპატენტებული ტექნოლოგიის მიხედვით.

დანიშნულება: ჰუმინური სასუქი "აგროვიტა" გამოიყენება ყველა სახის მცენარის გამოკვებისათვის, ნებისმიერი ნიადაგურ-კლიმატური რეგიონისათვის, მცენარის განვითარების ყველა ფაზაში - თესლის დამუშავებიდან ვეგეტაციის ბოლომდე და ნიადაგის განოციერებისათვის მოსავლის აღების შემდეგ ან ადრე გაზაფხულზე. წარმატებით გამოიყენება "ორგანულ" მინათმოქმედებაში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში. ახასიათებს ზრდის სტიმულაციის ეფექტი და ფუნგიციდური თვისებები.



დაპატენტებულია საქართველოში №3977 29.11.2005 რეგისტრაციის მონმობა N56, 11.08.2010

შპს „აგროვიტა“

თბილისი, 0119, წერეთლის პრ., N142, 2-ე სართ, ოთ. 15

ტელ/ფაქსი: 995 32 341 678 მობ.: 995 99 205 969, 995 97 170 703, 995 97 170 709

ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com

HP
69-102

MF3600

(V/S/F/GE) ახალი მოდელი 4 ვერსიით
მეტი ძალა, მეტი განავა, მეტი სარგებელი



ხედვა სიხლე ლიდერობა ხარისხი სიმძლავრე მხარდაჭერა სიამაყე ვალდებულება




MASSEY FERGUSON
მასეი ფერგიუსონი

MF 3600 3600 სერიის საბაღ-სავენახე ტრაქტორები, რომლებიც იდეალურია თქვენი მეურნეობისათვის

„მასეი ფერგიუსონი“-ის (Massey Ferguson) 3600 სერიის მაღალი, ხარისხის ტრაქტორები, კომფორტული კაბინით ან უკაბინოდ, სხვადასხვა სიბანის, სიმძლავრის და სპეციფიკაციის, 4X2 ან 4X4 წამყვანი თვლებით, ნაზისიერი ამოცანების გადასაჭრელად.

მოდელი	ვერსია	ცხ.ძ.
MF 3625	V/S/F/GE	69
MF 3635	V/S/F/GE	80
MF 3640	V/S/F/GE	84
MF 3650	S/F/GE	94
MF 3660	S/F/GE	102



სავენახე ვერსია (V), Vineyard Version (V) – სიგანე 1 მ-დან, ეს მოდელი სპეციალურადაა შექმნილი ტრადიციული, ვიწრო ვენახებისათვის, 1,5-2 მეტრი რიგთაშორისებში სამუშაოდ.

სპეციალური ვერსია (S), Special Version (S) – სიგანე 1,3 მ-დან, ეს მოდელი გამიზნულია შედარებით გაშლილი ვენახებისათვის – 2-2,5 მ. რიგთაშორისებში სამუშაოდ. გაუმჯობესებული, კომფორტული, ფართე კაბინით.

საბაღ ვერსია (F), Fruit Version (F) – სიგანე 1,5 მ-დან, გამიზნულია უფრო ვენახებისა და ხეხილის ბაღებისათვის, ეს არის უფრო მძლავრი და განიერი ტრაქტორი მეტი შესაძლებლობებით.

GE ვერსია, Ge versia – სიგანე 1,15 მ-დან, ეს მოდელი, სპეციალურად დაბალი ხეივნის ქვეშ სამუშაოდ არის შექმნილი.

მიუხედავად იმისა თუ რას ანარმობთ თქვენ: ყურძანს, ზეთის ხილს, ხილს, თხილს, პოსტნაულს თუ ყვავილავს, მაღავე აღმოაჩენთ, რომ MF 3600 სერიის ტრაქტორები თქვენი მეურნეობისთვის შეუცვლელია, რაშიც მოწეული უხვი მოსავალიც დაგარწმუნებთ.



აღიანს ჯგუფი
ლიზინგი



აგრო ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და მიიღეთ დაფინანსება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის, სეზონური დაფარვის გრაფიკით.



ლიზინგის პირობები:

ლიზინგის თანხა:	500 ლარიდან
ვადა:	13-დან 60 თვემდე
საშუალო წლიური გაძვირება:	7%-დან
მინიმალური თანამონაწილეობა:	20%-დან
ვალუტა:	ლარი, ევრო, აშშ დოლარი

ჩვენთან დამატებით მიიღებთ:

- ლიზინგით მომსახურებას განაცხადის მიღებიდან 1 სამუშაო დღეში
- უზრუნველყოფას ლიზინგის საგნით, დამატებითი გირაოს გარეშე
- სეზონურ დაფარვის გრაფიკს

თბილისის სარვის ცენტრი

მ.კოსტავას ქ.47/57
ტელეფონი: (+995 32) 2 197 777
ელ. ფოსტა: leasing@agl.ge

რუსთავის სარვის ცენტრი

რუსთავის ავტო-ბაზრობა, AUTOPAPA-ს
შესასვლელი, ოფისი N3-3
ტელ.: (+995 32) 2 197 777 (3101)

გუგუდის სარვის ცენტრი

კიკელიშვილის ქუჩა #1
ტელ.: (+995 32) 2 422 000 (ext. 2600)

ქუთაისის სარვის ცენტრი

ილია ჭავჭავაძის გამზირი #33
ტელ.: (+995 32) 2 422 000 (ext. 2700)

ნალკის სარვის ცენტრი

არისტოტელეს ქუჩა #5
ტელ.: (+995 32) 2 422 000 (ext. 2900)

ბათუმის სარვის ცენტრი

ი. აბაშიძის ქუჩა #2, ბათუმი
ტელ.: (+995 32) 2 422 000 (ext. 2800)